

140  
1981

ISSN 0138-0574

საბჭოთავო  
კოსმოსი



# საბჭოთავო კოსმოსი

4  
1981





საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდაამავალი წითელი დროშის გადაცემა.

# საქართველო სახლიმ ჰილდოთი კენიუნა ნესუბლიქის დიდი ბეანეჰეკა

მიმდინარე წლის 20 მარტს საქართველოს მიწა-წყალზე საქართველო ზეიმი იყო: ჩვენმა რესპუბლიკამ ზედვიად უკვე მერვედ ჩაიბარა სსკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდაამავალი წითელი დროშა საკავშირო სოციალისტურ შეჯიგრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლიანი სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

რესპუბლიკის კართულ სამეურნეო აქტივის კრებაზე, გარდაამავალი წითელი დროშის მიღებისას სსკკ ცენტრალური კომიტეტის კოლიტიბიუროს წევროგის კანდიდატმა, საქართველოს კოკპარტიის ცენტრალური კომიტეტის კირველმა მდივანმა ე. ა. შევერდნაძემ თქვა:

„ნება მივთქვამთ, ძვირფასო ახ. ხანაგაგო, ჩვენი საშროგლოს, ჩვენი კარტიის ამ საკაბიო ჯიღლოს რომ ვიღებ, თქვენი სახლით აღნუთქვა სსკკ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის კოლიტიბიუროს, ძვირფას ლეონიდ ილიას კე გრეჰენავს, რომ მეთერთმეათე ხუთწლიანს კირველ წელს საბჭოთა საქართველოს მორიგელები ახალ წარმატებას მიაღწევენ კარტიის X XVI ურილოგის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გრკოლში, კიდევ უფრო რაღლა ასწევენ საქრველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიგრების დროშას, განთავისუფლებული შრომის წითელ დროშას“.

გამოდოს 1926 წლიდან

საქართველოს ალკა მკ.ის და ვ. ი. ლენინის სახლოგის კიორნეტო ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავეპო ქარნალი



## კომუნისტი

4 აპრილი 1981




# ჩვენსი ჟურნალი

ნ. ქვინიძე

მოთხრობა

მატყარი ნ. ქვინიძე



ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ანტონოვიჩის დროებითი მთავრობა დაპატიმრა, ავტომობილით სმოლნისკენ მიჰქროდა. იგი ლენინმა გამოიძახა. ბოლო დღეებში სრულებით არ სძინებია და სათვალის ქვეშ თვალები დაწითლებული და აცრემლებული ჰქონდა. გაცრეცილი ტყავის ქურთუკი ეცვა, ყელზე მოხვეული შარფის ბოლოებს შემხვედრი ქარი უფრიალებდა.

გერენსკი პეტროგრადს უტევდა. წინა ღამეს ცნობა მოვიდა: გატყინა დაეცა — კრონშტადტელი მეზღვაურებისა და სემიონოვსკელი და იზმაილოვსკელი პოლკების ჯარისკაცთა ნაკრები რაზმი მოწინააღმდეგეს უბრძოლველად დანებდაო. კრასნოვის კახათა ცხენოსანი ასეულები კრასნოე სელოს უახლოვდებოდნენ. ნარვასთან, შტაბში სრული არეულ-დარეულთა სუფევდა. მეტროპოლ ნაწილებთან კავშირი მთლიანად გაწყვეტილი იყო. არავინ უწყობდა, რა ხდებოდა თავდაცვის ხაზზე. არ ჩანდა არტილერია, არ ჰყავდათ ცხენები. ცარსკოე სელოც კრასნოველებს დაეკავებინათ. კიდევ კარგი, რომ პავლე დიბენკო მოვიდა მეზღვაურთა ეშელონით. დიბენკომ ცარსკოე სელოს მარცხენა ფლანგის მეთაურობა ჩაიბარა. ოვსეენკომ უნდა უზრუნველყო გამარჯვება პუტილოვსკის მალალობებზე. მთელი წუხანდელი საღამომ მან მესამე მსროლელთა პოლკის ნაწილებში, მუშათა გვარდიის რაზმებში გაატარა.

აი, სმოლნის ტაძრის სამრეკლოც გამოჩნდა. ერთი მოხვევა მარცხნივ და უკვე სმოლნს მიადგნენ. ყველა ფანჯარა გაჩირაღდებულია.

დერეფნებში ჰედვავა, გარბი-გამორბიან. იგრძნობა, რომ ვითარება საგანგაშოა.

— რა მდგომარეობაა თქვენთან? რა არის ახალი? — ეკითხება ლენინი ოვსეენკოს.

ლენინს მშვიდი გამომეტყველება აქვს, ოღონდ თვალები განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდებიან მოპასუხეს.

— არაფერი შეალამაზოთ, ყველაფერი ისე თქვით, როგორც სინამდვილეშია. ვიცი, საფრთხე დიდია. რაც კი შეგვიძლია, ყველაფერი უნდა ვიკეთოთ. აბა, მოყვით. ნაწილებში იყავით? როგორ არის იარაღის საქ-

მე? როგორია განწყობილება? რა იცით მოწინააღმდეგის ძალების შესახებ?

— არც ისე ძლიერნი არიან, ვლადიმერ ილიჩ. კრასნოვის კახათა დივიზია — არსებითად ესაა და ეს მათი ძალა. ქვეითი ჯარი არ ჩანს. სამაგიეროდ არტილერია კარგი აქვთ, ჯავშნოსანი მატარებელიც. მათი მთავარ-სარდლობის რეზერვები გზაში შეფერხდნენ. ჩვენთან კი მეზღვაურთა ნაკრები რაზმი — ათას ხუთასამდე მეტროპოლი მოვიდა. რჩეული, მამაცი ბიჭები არიან. ვიბორგელები გვამლევენ რაზმს არტილერიითურთ. მუშათა გვარდია უკვე მოქმედებს გერენსკის წინააღმდეგ პუტილოვსთან. ოღონდ, ეგ არის, არტილერია არ გავაჩნია, მარტო შაშხანები გვაქვს. საშვიშო დღეშია მარცხენა ფლანგი. იქ კრასნოვს აშკარად აქვს შესაძლებლობა ქალაქისკენ გამოიჭრას. მსროლელები მერყეობენ, ოფიცრებიც არ ჩანან სანდონი... ძალზე საჭიროა მოსკოვისაკენ მიმავალი რკინიგზის დაცვა, კოლონოს გამაგრება. ამ საქმეში პუტილოვლები გვიშველიან: ჯავშნოსანი მატარებელს დამპირდნენ. უფრო სწორად, ჯავშნოსან ბაქნებს მოგცემთ სახენიტო ქვემეხებითურთ. ამან შესაძლოა გადაამწყვეტი როლი ითამაშოს ბრძოლაში.

— კი მაგრამ, როდის მოგვცემენ? შეამოწმეთ?

— დღეს ჯერ კიდევ ვერ მოვასწარი. დაბეჯითით კი დამპირდნენ. მაგრამ, რა თქმა უნდა, სჯობს პირადად დარწმუნდეთ. იქნებ წამოსულიყავით!

— მოდი, ახლავე წავიდე! მართალია, უკვე ღამეა, მაგრამ იქ ხომ არ სძინავთ!

— მანქანა შემოსასვლელთან დგას. წავიდე.

ლენინი წამოდგა და მხრებზე წამოსხმული პალტოს სახელოებში სწრაფად გაუყარა ხელები.

ცივი წვიმა მოდის. ქარი ქრის. ოვსეენკო გაცრეცილ ქურთუკში იბუზება, ყელზე შარფს იხვევს. ლენინი ნაცრისფერ სიბნელეში გახვეულ ქუჩებს გასცქერის.

ქალაქის ცენტრის სწორ ქვაფენიკლს გარეუბნის ოღროჩოლოროები ეკლის. მანქანა ნარვალელებზე ჯანჯლარბებს.

ნარვის ტრიუმფალური ალაყაფის მიღმა მუშათა ლატაკური საცხოვ-

რებლები მოჩანს, შიგა და შიგა გაივლებენ გახუნებული მანქანები „ტრაქტორი“, „ლამის გასაწვლელი“... პირქუშად იყურებიან ფაბრიკათა აგურის კორპუსები.

ყველა გზაჯვარედინზე წითელარმიელი პატრულები დგანან—მხარბილივ თუ წელზე სავაზნეშემორტყმულები, თხელპალტოიანები, გათოშოლები, მაგრამ მაინც მხნენი და მხიარულნი. ავტომობილი ხშირად უვლის გვერდს მხარზე ნიჩაბგადებულ ადამიანთა ჯგუფებს.

უცებ ლენინი ოვსეენკოსკენ იხრება:

— სანგრები მარტო მუშებმა არ უნდა თხარონ, არამედ მთელმა მოსახლეობამ, მათ შორის—ბურჟუაზიამაც. შრომითი იძულება ამჟამად ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ეს რალაციით უფრო მეტია, ვიდრე კონვენტის გილიოტინა.

ოვსეენკო თავს უქნევს და მის დაღლილ თვალებში სიმხნევე ისადგურებს.

აგერ პუტილოვსკიც. მანქანა ქარხნის გვერდითა ჭიშკართან ჩერდება. ღამის სიჩუმეში ისმის, როგორ გუგუნებენ საამქროები. ეზოში ბნელა. ტალახია, ქვანახშირის წიღის გროვებია. როგორც იქნა, საქარხნო კომიტეტის ოთახამდე მიალწვის. იქ ტევა არ არის, ისეთ გაცხოველებულ სჯა-ბაასშია ხალხი. საბრძოლო შტაბი გვეგონება.

ანტონოვიჩის ოვსეენკო ბევრჯერ ყოფილა აქ და მას ყველანი იცნობენ.

— ჯავშნოსანი მატარებელი? რასაკვირველია, ვამზადებთ! თუმცა ინჟინრები გაგვექცენ. არაფერია, უიმათოდაც მოვუვლით საქმეს. ნახაზები? ნახაზებიც გავაკეთეთ. აი, ნახეთ. თუმცა, ხომ არ აჯობებს, პირდაპირ საამქროში მივიდეთ. იქ გამოჩნდება ყველაფერი.

საამქროსკენ რომ მიემართებოდნენ, იმან, ვინც შეკითხვებზე პასუხს იძლეოდა, ხმადებლა იკითხა:

— ამხანაგო ანტონოვი, თქვენ ლენინიც გახლავთ, არა? ვლადიმერ ილიჩ, იქნებ მიტინგია საჭიროო?

— არა, არა, ამხანაგებო, ახლა ამის დრო არა გვაქვს. ჩვენ საქმისთვის ვართ მოსულები. სადაა ის ჯავშნოსანი მატარებელი?

ვეებერთელა. ერთი შეხედვით ცარიელი საამქროს მალალი თაღების ქვეშ იდგა მრისხანე შესახედაობის, ქვემეხებიანი, ჯავშნიანი ფარებით მზინავი მატარებელი.

ბაქნის ირგვლივ რვა მუშა ფუსფუსებდა. ისინი მუშაობით იყვნენ გართულნი და თითქმის ვერ ამჩნევდნენ მოსულთ. მხოლოდ ერთი, შედარებით ხნიერი მუშა გამოეყო

16.822

ქ. შარქისის ხან. საქ. სსრ  
სახელმწიფო რესპუბლიკა  
ბიბლიოთეკა



სხვებს, სტუმრებს მიუახლოვდა, სველ შუბლზე კეპი აიწია და დაიწყო საქმის გარემოებათა ახსნა-განმარტება.

ლენინი ყურადღებით უსმენდა, შეკითხვებს აძლევდა, გამამხნევებლად უქნევდა თავს.

— რამოდენა საზრიანობაა, — მიტრიალდა ოვსეენკოსკენ.

მერე იკითხა:

— მაინც როდის იქნება მზად?

— ხვალ დილით, ვლადიმერ ილიჩ, და მაშინვე პოზიციისკენ გასწევს. მარტო ქვემეხების დამაგრება და ნაწიბურების მოქლონვა-ლა გვაკლია.

— მაშ ასე, — ლენინი ბაქანზე ვავიდა, ქვემეხის საკეტს შეახო ხელი.

— აქედან სროლა მოხერხებული იქნება? ჰო, როგორ მოგმართოთ სახელითა და მამის სახელით?

ქურთუკი ეცვა და კრაველის ყურბიანი ქუდი ეხურა, ცეცხლზე თუნუქის ჩაიდანს დგამდა.

— ძალიან ახალგაზრდაა. არ გეშინიათ, რომ რაიმე მოუვიდეს?

— როგორ არ მეშინია, ვლადიმერ ილიჩ? შვილი შვილია, საკუთარი სისხლი და ზოცია. მაგრამ სხვა არჩევანი ჩვენ არა გვაქვს.

— ჰო, სხვა არჩევანი არ არსებობს, — სერიოზულად თქვა ლენინმა და თვალის გუგებში ოქროსფერი ნაპერწკლები გაუკრთა.

ავერიანიჩთან საუბარმა მას ნამდვილი სიამოვნება მიანიჭა.

— რევოლუცია ჩვენთვის სისხლხორცეული საქმეა...

ნახევარი საათი გავიდა, ისინი კი კვლავ ისე საუბრობდნენ. თითქოს დილა ხნის უნახავი მუგობრები შეხ-

რის ფერფლი ეყარა და ბოლისა და რკინის სუნი უდიოდა. ფედოტოვმა ღვეღვიდან რამდენიმე შემწვარი კარტოფილი გამოიხსრია და მორიდებულად თქვა:

— მიირთვით. კიდევ შევწვავ.

ლენინმა ხალისით აიღო ერთი კარტოფილი, ხელისგულზე გააგორგამოაგორა, ნაცარს შეუბერა, კანი მოაციცქნა.

— რა კარგია ღვეღვში შემწვარი კარტოფილი! ამაზე გემრიელი არაფერი მეგულება.

უნებლიეთ მოაგონდა ცოტა ხნის წინანდელი საღამოები რაზლივში. მაგრამ ის საღამოები ახლა ისე შორეული ეჩვენა, თითქოს საუკუნის ციცაბო უღელტეხილს მიჰფარდნენო. იქ იგი თითქმის მარტოკა იყო თავის ფიქრებთან, აქ კი მის გარშემო ცხოვრება დუღდა.

უეცრად, თითქოს რაღაც გაახსენდაო, ხელი ჟილეტის ჯიბისკენ წაიღო, საათი ამოიღო, დახედა, გაკვირვებულმა წარბები ასწია და წამოდგა:

— გამდლობთ. ამხანაგებო! ჩვენს წასვლის დროა.

ყველას ხელის ჩამორთმევით გამოემშვიდობა და ავერიანიჩთან ერთად საამქროდან გავიდა.

ჭიშკართან ოვსეენკო წამოეწია. ჩაით გამთბარი, ცოტა დასვენებული, მხნედ, ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ლენინმა კმაყოფილებით შეამჩნია ეს.

— რაო, რა მოხდა? — იკითხა მან, როცა ოვსეენკომ მუჭში ჩაიციხა.

— არ იჯერებენ, რომ თქვენ ნამდვილად ლენინი ხართ. ღმერთმანი. ფედოტოვმა კი, აი რა თქვა: მე რომ მეფის ადგილას ავერჩიეთ, ქარხნებში კი არ ვივლიდი, ტახტზე ვიჯდებოდი და სულ თავლის კვერებს ვჭამდიო.

— მაშ, თავლის კვერებსო, ჰა? — სერიოზულად თქვა ლენინმა და უცებ ისე გადაიხარხარა, როგორც არ უცინია ამ ბოლო, არაადამიანურად დაძაბულ დღეებში.

ირგვლივ წყვილიადი იდგა. თვალგაუმტარ სიბნელეში გაყუჩებულიყო უზარმაზარი ქალაქი, რომლის აჩქარებულ მაჯისცემას მთელი რუსეთი აყურადებდა.

მანქანაში რომ სხდებოდნენ, ლენინმა შევებით შეიმშრალა სიცილისაგან თვალზე მომდგარი ცრემლი და მტკიცედ, თითქოს თავისთვის თქვა:

— არა, ვერცერთი კერუნსკი ვერ დააბრუნებს ამ ადამიანებს ძველი დროისაკენ. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.



3. ი. ლენინი ახალგაზრდა კომუნისტურ მუშას.

— მე? ყველანი ავერიანიჩს მეძახიან. ისე კი ჩუგუნოვი ვარ, მათე. გაინტერესებთ, აქედან სროლა მოხერხებული თუ იქნებაო? რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ ამას ჩვენთვის ვაკეთებთ და არა სხვისთვის.

— ჩვენთვის? — გამოცოცხლდა ლენინი. — ეს როგორ გავიგოთ, მატყვი ავერიანიჩ? ფართო გაგებით თუ სიტყვასიტყვით?

— ყოველნაირი გაგებით. ხვალ იქნებ მე მომიხდეს ამ ზარბაზნიდან სროლა. თუ არა და, ფედოტოვმა შემცვლის, ჩემი შვილი.

ჩუგუნოვმა თავი იქით გაიქნია, სადაც საამქროს მიწურ იატაკზე პატარა კოცონი ენთო და ერთი ჭაბუკი, რომელსაც დალიანდაგებული

ვდნენო ერთმანეთს.

— ავერიანიჩ, ჩაით მაინც გაუმასპინძლდი სტუმრებს. — დაიძახა ვილაცამ ბაქანის მეორე მხრიდან.

— სწორია, — დაფაცურდა ჩუგუნოვი. — ვლადიმერ ილიჩ, ცოტა ცივა და... ფედოტოვმა! დულს შენი ჩაი?

— რა ხანია, — დარბაისლურად მიუგო ჭაბუკმა.

— კეთილი, — თქვა ლენინმა და ოვსეენკოს მიუბრუნდა: — თქვენც ალბათ წინააღმდეგი არ იქნებით. გავითომეთ მანქანაში.

ყველას გაუნაწილეს ხელისგულზე დანის ტარით დამტვრეული რაფინადი. თუნუქის მრგვალი ტოლხებით სვამდნენ ჩაის, რომელსაც ქვანახში-





# იმ დღეებს

გუარამ  
ბახვაძე

# კბილი უნდა

# ჯვუბოთ!

ხილებს, ადამიანთა მსგავსად, სხვადასხვა თავგადასავალი აქვთ. ბევრი მათგანი ისტორიულ-რევოლუციურ მოვლენებთან არის დაკავშირებული. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება რკინიგზის ფოილოს ხიდიც, რომელიც მტკვრის ორ ნაპირს აერთებს. ამ ხიდით ჩამოდინან საქართველოში მოძმე აზერბაიჯანიდან მომავალი მატარებლები. ზოგიერთ თქვენგანს, უთუოდ, მატარებლით გაუვლია კიდევ ეს ხიდი. ფოლადის უტყვი ბურჯები და მობუტბუტე მტკვარი არაფერს გეტყობდათ; მაგრამ თუ ხიდის მახლობლად, მდინარის პირას გაივლით, ხეივანში აღმართულ მიწისუბნებს დაინახავთ. ეს მონუმენტი 60 წლის წინანდელი დაუფიწყარი, ისტორიული დღეების მოსაგონებლად, იმ ამბების მონაწილე ადამიანების პატივსაცემად აღუმართავს მადლიერ შთამომავლობას.

ეს იყო 60 წლის წინათ. აფეთქების მქუხარე ხმამ შეაზანზარა მიდამო. ხიდის მალევე წყალში ჩაეშენენ, რელსები დაიგრიხნენ და სხვადასხვა მხარეს მოტრიალდნენ.

რა იყო, რა მოხდა, ვინ გასწორა ხიდი დასანგრევად? ხიდი მენშევიკებმა ააფეთქეს. მათ უნდოდათ, ხელი შეეშალათ ლეგენდარული მეთერთმეტე არმიისათვის, რომელიც მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ ამბოხებული ქართველი ხალხის დასახმარებლად მიიჩქაროდა. მენშევიკებს ვერ წარმოედგინათ, თუ რის გაკეთება შეეძლოთ ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის სულისკვეთებით გამსჭვალულ უბ-

რალო ადამიანებს — წითელარმიელებს, რკინიგზელებს, მუშებს, გლეხებს — ქართველებს, რუსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს და ყველა იმ სხვა ეროვნების სახელოვან წარმომადგენლებს, რომლებიც მეთერთმეტე არმიის რიგებში წითელი დროშის ქვეშ იბრძოდნენ — მამაცურად, გაბედულად, თავდადებულად.

ცივი ქარი ქროდა, სუსხი ძვალსა და რბილში ატანდა, ადამიანები კი მუხლამდე და წელამდე წყალში იდგნენ, ერთმანეთს ხის მორებსა და ლითონის კონსტრუქციებს აწვიდინენ. ამაგრებდნენ, აღულაბებდნენ, აფოლადებდნენ ქვასა და მიწას — ასეთი რამ იქნებ ტექნიკური ტერმინოლოგიით გაურკვეველიც კი იყოს, მაგრამ აბა სხვა რა შეიძ-



ზვიგია, მავობროვის ზვიგია — უკრავს სასულე ორკესტრი.



ტაბილი და გულზი ჩაფვანია აზერბაიჯანული მელოდია.



ლება უწოდო იმ პროცესს, როცა ფოლადად ქცეული ადამიანების ხელით ქვა და მიწა, ხე და რკინა ისე შეუერთდა ერთმანეთს, რომ მატარებლებს — წითელარმიელებით დატვირთულ მატარებლებს — საშუალება მისცა საქართველოსაკენ წამოსულაყვნენ.

72 საათი გაგრძელდა ეს ტიტანური შრომა. ადამიანებს თითქმის არ





— ეს იყო 80 წლის წინათ, იმ ცივ, პარსუსიან ღვინს, — უკვამა მოსუცი რუა ასტადულაევი...

ეძინათ, ათიოდე წუთს ისაუბრებდნენ (ეს საუბრე ერთადერთი წახემსება იყო მთელი დღის მანძილზე), მერე ოდნავ მოატყუებდნენ თვალს და შემდეგ — შრომა, შრომა კი არა — ბრძოლა ქარაშოტთან, ადიდებულ წყალთან, გაყინულ ფოლადის ნაჭრებთან...

ერთმანეთის მხარდამხარ იდგა ათას ორასი კაცი — ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები... და ვიდრე წითელარმიელებით დატვირთული მატარებლები საქართველოსაკენ გამოსწევდნენ, ხილთან მიტინგი გაიმართა.

60 წელიწადი გავიდა მას შემდეგ... მაშინდელი 21 წლის ჯაბუკი რუა ასტადულაევი დღეს მეცხრე ათეულ წელიწადში გადამდგარა, სიარული უჭირს, მაგრამ თავისი ფეხით მოვიდა თბილისელ და ფოილოელ პიონერთა მეგობრობის მიტინგზე. ალისფერყელსახვევიან პიონერთა შორის ჩამდგარა, სახე უღიმის, მკერდზე მასაც წითელი ყელსახვევი უკეთია — საპატიო პიონერის ყელსახვევი — და 80-იანი წლების ყმაწვილებს იმ დღეთა ამბავს მოუთხრობს.

ხილს მიტინგის მონაწილეებმს ლენინის სახელი უწოდეს და დიდ ბელადს დებუმაც გაუგზავნეს: „ჩვენ დაუადგინეთ: ხილს ლენინის სახელი ვუწოდოთ. დაე, იგი იყოს ქართველ და რუს პროლეტარტა ერთობლივი, მეგობრული შრომის პირველი ძეგლი და ისე შეაკავშიროს ორივე ეროვნება, როგორც ჩვენ შევაერთეთ მდინარე მტკვრის ორივე ნაპირი. ძვირფასო ბელადო, ამხანაგო ლენინ, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ხილით ქართველი ხალხი ისწრაფვის თქვენსკენ, როგორც თავისი გამათავისუფლებელისაკენ...“

დებუმა, მიტინგი, ბევრიც სხვა რამ ისტორიის კუთვნილებად იქცა. ახლა აქ, ფოილოში ხშირად ჩამოდიან თბილისელი პიონერები. ახლანახან კვლავ ეწვივნენ ფოილოელ მეგობრებს საქარხნო რაიონის პიონე-

რები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ რესპუბლიკურ ოპერაციაში „მზე“. ორი მოძმე რესპუბლიკის პიონერთა მიტინგი იმ ხეივანთან გაიმართა, რომელიც ათი წლის წინათ გააშენეს სამოცდაათიანი წლების პიონერებმა.

უკრავდა პიონერული მასშტაბის კესტრი, ისმოდა ქართული, სომხური, იჯანული, რუსული, სომხური სიმღერები. ერთად, მეგობრულად კითხულობდნენ იოსებ გრიშაშვილის ლექსს „თბილისი, ბაქო და ერევანი“. მომავალი მეგობრები უბის წიგნაკში ერთმანეთის მისამართებს იწერდნენ...

და ქართველში გამოვლილ გოლიათ მუხასავით იდგა პიონერთა შორის მოხუცი რუა ასტადულაევი — 60 წლის წინანდელი დღეების მომსწრე — ერთადერთი იმათაგანი, ვინც მონაწილეობდა ფოილოს ხილის აღდგენაში, ვინც დებუმა გაუგზავნა დიდ ბელადს — ვლადიმერ ლენინს!

და როგორ არ დავამთავრო ეს ნარკვევი გალაკტიონის სიტყვებით: „იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგოთ, უნდა აღვმართოთ წყებათა-წყება...“



ქართულმა ცეკვამ უკვლა მოხილას.



ურიალას მეგობრობის ხილვანი.



მხატვარი  
ზურაბ  
მამარიაშვილი

მოთხრობა



სხვისი სამეფო

ოდიშარიამ გაიღიმა, ქათქათა კბილები გამოაჩინა. წინ ვადაიხარა და მასპინიელს მუხლზე ძძიმედ დაადო ვეება ხელისგული:

— მოდით, პირდაპირ თემური დამიძახეთ, ასე აჯობებს... ბადრი, მე ამირან ბლაგიძის მეგობარი ვარ. ხომ გეცნობათ ეს გვარი? —

— დიახ, დიახ! — სწრაფად მიუგო ბადრიმ. — მაგრამ როგორ. რანაირად... — და უცებ შეშფოთდა: — ხომ მშვიდობაა, კობას ხომ არაფერი მოსვლია? ამ დილით ვნახე ავტობუსის გაჩერებასთან...

გამოიკვია, რომ სტუმარმა კობასი არაფერი იცოდა. — სწორედ იმისთვის მოვედი თქვენთან, რომ ამირანის შვილზე უფრო მეტი ვავიგო, ვიდრე ამჟამად ვიცი, — უთხრა მან ბადრის. — გუშინ შემთხვევით ჩემს ხელში მოხვდა არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორის მოხსენებითი ბარათი. იმ ბარათში იაკობ ამირანის ძე ბლაგიძეზეა ლაპარაკი. ინსპექტორს, რა თქმა უნდა, ვესაუბრე. მან მიჩნია, სკოლაში მოვსულიყავი. დირექტორმა კი თქვენთან გამომგზავნა, თურმე თქვენ გიცნობით კობას შეფობა.

— კი მაგრამ, არასრულწლოვანთა ინსპექციას რა ესაქმება ბლაგიძესთან? — გაიკვირვა ბადრიმ. — დააშავა ბიჭმა რამე?

— ჯერ არა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთ ხალხში ტრიპლებს, რომ ყოველ წუთს შეიძლება რამე ხათაბალაში გაეხას.

ბადრი წამით დაფიქრდა, მერე უცებ გაახსენდა: — თქვენ ვილაც რაფიკასთან ნაცნობობას გულისხმობთ?

— აჰა, თქვენ ამის შესახებ გცოდნიათ! — ეს მთელმა სკოლამ იცის, მაგრამ ვითომ ასე საგანგაშოა იმ რაფიკასთან ნაცნობობა? აქ ხომ, ზღვის მიჯრორაიონში, მეტ-ნაკლებად ყველანი ვიცნობთ ერთმანეთს!

თემურ ოდიშარიამ ფრთხილად დაადო მაგიდას ვეება ხელისგული, თითქოს ეშინია, არ ჩავამტვრიო.

— ეს სხვა რანგის ნაცნობობაა, ბადრი. რაფიკა სარეკლამო სახელოსნოში მუშაობს ვინმე ლავრენტასთან ერთად. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ლავრენტა და რაფიკა ქურდების ხელის დამცველები არიან, ქურდული ტერმინოლოგიით — ამლებნი. ეგ არის, ჯერ ფაქტზე მათი დაჭერა ვერ მოვანერხეთ. კობა ბლაგიძე კი... თქვენ იცით, რომ ეს ბიჭი სწორედ ამ ხალხთან მუშაობს?

— ახვათა შორის, დღეს-ხვალ ვაპირებდი ამის შემოწმებას...

— და კარგია, რომ ვერ მოასწართ: თქვენი ვიზიტით, შესაძლოა, ვილაც-ვილაცები დაგეფრთხოთ კიდევ...

— რამდენადაც ვიცი, კობა იქ მხოლოდ აფიშებს წერს

და მარტივი ნახატების რეპროდუქციებს აკეთებს. ასე არ არის?

— დიახ, ასეა, მაგრამ ეს შემოჩვევის, ნდობის დამსახურების პერიოდია. ამას აუცილებლად მოჰყვება „ნამდვილი საქმე“, დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც. ჯერჯერობით კი ცოტ-ცოტა კონიაკი, თითო-ორილა კათხა ლუდი...

— როგორ, კობა სვამს?!

— სვამს, მაგრამ ცოტას. პაპამისმა მიაჩნია ამ „სიკეთეს“ პატარაობისას, ნიკო სამთავნელმა. მადლობა ღმერთს, თავშეკავების უნარი აქვს, სათრობად არასოდეს დაუღვია თურმე. სამაგიეროდ, ხშირად თამაშობს.

— თემურ ბატონო! — ახლა კი აშკარად უღალატა სიმშვიდემ ბადრი ნაკაშიძეს. — ამას კი ნამდვილად ვერ დავიჯერებ!

— უნდა დაიჯეროთ, ბადრი, უნდა დაიჯეროთ, რადგან ეს სიმართლეა, ისეთივე სიმართლე, როგორც ის, რომ კობა ბლაგიძე ნასამართლევ ქურდთან, ცნობილ ბრიხასთან ერთადაც დაუნახავთ. დიახ, დიახ! ერთხელ, მართალია, მაგრამ მაინც... იცით, კობას ასაკის ბიჭებს ქუოდები რატომღაც რომანტიკულ პიროვნებებად მიაჩნიათ, ისეთ უსამართლოდ დაჩაგრულ, გარიყულ გმირებად. რომელთაც არაფრის ეშინიათ და რომლებიც თავიანთი, საკუთარი, ვითომდა ვაჟაკური კანონებით ცხოვრობენ. ჰოდა, აი, ყველა წინაპირობა არსებობს საიმისოდ, რომ მათი გავლენის ქვეშ მოექცეს. ასე რომ, უბნის ინსპექტორი სწორად მოქცეულა და ბარაქალა მას, რომ ეს ბიჭი დროულად აიყვანა აღრიცხვაზე.

ბადრი ნაკაშიძემ დამნაშავესავით ჩაჰკიდა თავი.

— ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, — მწარედ, ყრუ ხმით თქვა ბოლოს. — თურმე სადამდე მისულა საქმე!

უცებ სტუმარს გაეცინა. ბადრიმ გაკვირვებით შეხედა. კაპიტანი მას უყურებდა და თვალმოჭუტული ეშმაკურად იცინოდა.

— რა ვიცი, სკოლის დირექტორმა ისეთ მეტროდოლ და შეუპოვარ პიროვნებად გამაცნო თქვენი თავი, რომ... თქვენ კი... ბატონმა ალექსიმ მითხრა, პიონერებიც უღვანანო მხარში. ის ბავშვი... ჰო, ლომსაძე — თქვენი მოწაფეა, არა?

— დიახ, კარგი გოგონაა, მაგრამ აშკარად უჭირს. ძალზე ძნელია კობა ბლაგიძესთან ახლოს მისვლა. გაკვეთილების ერთად მომზადებაზე უარს ეუბნება, ექსკურსიებზე, კინოში თანაკლასელებთან წასვლის ვაგონებაც არ უნდა, არც ერთი ამხანაგის დღეობაზე არ მისულა...

— გასაგებია, მაგრამ თამრიკო მარტო ხომ არ არის — აგერ თქვენა ხართ, იქით სკოლის დირექციაა, უბნის ინსპექტორია... მეც მხარში ამოვიდგებით. ყოველთვის კაუშირი მექნება თქვენთან. ოღონდ თქვენ ჯერ ნურაფერს ეტყვიან კობას ჩემზე. ამ ორ დღეში სადმე ვითომდა შემთხვევით შევხვდები, შეიძლება გამიხსენოს კიდევ, ამირანის სიცოცხლეში რამდენჯერმე ვუნახავარ. — და





თითქო ბადრის გულში გავლევებული ფიქრი ამოიციხო, უცებ მოიღუმა: — მეც კარგი ვინმე ვარ! თვითონ უხდა მომეძებნა ეს ბიჭი აქამდე... მაგრამ რა კენა. იმ ქალთან შეხვედრას ვერიდებო.

კაპიტანმა ოდიშარიამ ფეხით ჩაიარა კბეები, კობა ბლაგიძე კი ლიფტით ავიდა მეშვიდე სართულზე და, რა აქმა უნდა, ერთმანეთს ასცდნენ.

— ოჰ, კობა! — გაიკვირვა ბადრიმ, ზღურბლზე შეჩერებული თავისი მოწაფე რომ დაინახა. — სწორედ შენზე ვფიქრობდი ახლა. შემოდი, რაღაც ელოდები!

კობა მოსაცდელში შევიდა და გაჩერდა. ეტყობოდა, სათქმელი ჰქონდა და ყოყმანობდა.

— რაღაც გინდა მითხრა, არა? თქვი, ნუ გერიდება. — გაამხნევა ბადრიმ.

კობამ გაბედა: — ბადრი მასწავლებლო, შეიძლება ამაღამ თქვენთან დავრჩე?

ბადრი შეერთა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა. ეს კია, ბიჭს ისე მიაჩერდა, თითქოს პირველად ხედავსო. მერე მხარზე ხელი დაადო, მსუბუქად შეანჯღრია, შებრუნდა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

— დედაშენს დავურეკავ, გავაფრთხილებ...

## თავი მესამე

კობას კარგი მესხიერება ჰქონდა და ადრეული ბავშვობისას თავა გადამხდარი ბევრი ამბავი შეეძლო უტყუარად და ზუსტად აღედგინა. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ ის შავი შაბათი, დილით თვალის გახელიდან დაწყებული და იმ შემზარავი ეპიზოდით დამთავრებული, გუმბანდელივით მკაფიოდ ახსოვდა. თუმცა ერთი კია: იქნებ ის დღე სწორედ იმიტომ ჩაებეჭდა გონებაში განსაკუთრებული სიცხადით, რომ შაბათ საღამოს ნანახი და განცდილი მერე დიდხანს სდევდა თან და იმ კომპარის მოგონებისას ძალაუნებურად თავიდან იხსენებდა მთელი დღის განმავლობაში თავს გადამხდარ წვრილმანს თუ მსხვილმანს.

წინა საღამოს, პარასკევს, ნიკო სამთავნელმა ოთხმოც-კაციანი პურ-მარილი გაშალა — დაბადების დღე გადაუხადა კობა ბლაგიძეს, თავის ერთადერთ შვილშვილს, თავის სისხლსა და ხორცს, იმედსა და სიხარულს. ამირანს საერთოდ არ მიაჩნდა რვა წელი საიუბილეო თარიღად, მაგრამ თუ მაინც გამართავდა წვეულებას, სუფრას მხოლოდ ახლო ნათესავებისთვის დაგეგმავდა, ასე თხუთმეტი-თვრამეტი კაცისათვის, საამისოდ კი მისი ერთოთახიანი ბინაც იკმარებდა. მაგრამ ნიკო სამთავნელმა ქვა აავდო და თავი შეუშვირა: როგორაო, ამოწყვეტილები ხომ არა ვართო. ერთი ოცდაათი კაცი სამინისტროს აპარატიდან მეყოლებო, ოციოდე ნათესავ-ახლობელი მოგროვდება, ათიოდე — მეზობელი, ხოლო ათ-ათი დაქალი და ძმაცკი შენა და ნელიმ თქვენ-თქვენი სამსახურიდან წამოიყვანეთ, ხომ იცით, პურმარილის მადლსა და ნათელს დიდი ძალა აქვს, გაივლით და სადმე წინ დაგხვდებითო... ბინაში ბედსური გაუქენდებოდათ სამთავნელს — ოთხი ვეებერთელა ოთახი ჰქონდათ ვაკეში, აბა ამირანივით კი არ იყვნენ მიყარგულნი საღმაც ყეინის გორის ძირში, თბილისის ზღვაზე...

იმ ღამეს ჩაის ჭიქით სამადლობელი დააცლევინა ნიკომ შვილიშვილს — „დალიე, პაპა შემოგველოს, ამაში მაინც დაგვემსგავსე სამთავნელებს, აბა ბლაგიძეების ღვივნის სმა ვის გაუგიაო“, — წეკლა გადაპკრა სიძეს სიმამრმა. ამირანმა მხოლოდ ჩაიღობა და მაშინვე მოიღუმა, როცა რვა წლის ბავშვმა კობამ ტუჩებთან მიიტანა. მაგრამ თავი შეიკავა და არაფერი უთქვამს.

ამირანმა ლიმონათგარეული ორი ჭიქა ღვინო შესკა:

ღამის ქეიფში, მეორე დღეს კი, შაბათ საღამოს, ორიოდე წუხანდელი სტუმარი ისევ შემოუსხდა განაწილებულ სუფრას. წვეთიც აღარ დაუღევია.

მაგრამ ვიღერე სუფრა განახლდებოდა კობა უნებლიეთ ორი დიალოგის მოწმე გახდა, რომლებიც მტკიცედ ჩარჩა მესხიერებაში.

პირველი დიალოგი ნიკო სამთავნელის კაბინეტში გაიმართა, დილით, მსუბუქი ხაუზმისა და ყავის შემდეგ. მამაკაცები სავარძლებში ისხდნენ, კობას კი დივანზე მოეკალათებინა და ყურნალებს ათვალეირებდა. მისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

— როგორა ახლა მავათი საქმე? — სიძისთვის არ შეუხედავს, ისე იეთხა ნიკო სამთავნელმა და „ფილიპ-მორისის“ ახალი კოლოფი გახსნა.

— ვისზე მეკითხებით?

— სვანიშვილების საქმე მაინტერესებს.

ამირანმა ხელები გაშალა.

— ძიებაშია. ზოგი დაპატიმრებულია, ზოგსაც მალე დავაპატიმრებთ.

— პირველ პირში კი ლაპარაკობ, მაგრამ ჯერ, რამდენადაც ვიცი, შენ უშუალოდ არ მონაწილეობ მაგ საქმეში. ასეა, ხომ? თუმცა განზრახულია შენი ჩართვაც, არა?

— ბიჭოს! ზუსტი ცნობები გქონიათ, არაფერი მეთქმის! კარგი ინფორმატორები გყოლიათ.

ნიკო სამთავნელი ვითომ ვერ მიუხვდა დაცინვას.

— ახლა მომიხმინე, შენი ამბავი ვიცი, კაცი ვერსადან ვერ მოგიდგება, გასალებს ვერ მოგარგებს და ვერაფერს გადაგათქმევინებს. ამიტომ იმ ხალხს შენთან მოსვლა არც უცდია და არც ეცდება. მაგრამ აგერ მე გირჩევ ერთ რამეს, შენი კეთილის მსურველი, და რასაც გირჩევ, ის უნდა გააკეთო კაცურად და ადამიანურად.

ამირანმა ხელისგული აიფარა პირზე, თითქოს ღიმილის დამალვა უნდაო.

— ბატონო ნიკოლოზ, ის ხალხი სწორად მოქცეულა, ჩემთვის რომ არ მოუშართავს, მაგრამ თქვენ... — შეყოვნდა. სათქმელისთვის საჭირო ფორმა უნდოდა მოეძებნა. — თქვენ რატომ შეწუხდით ასე? ვისი გულისთვის გაისარჯეთ?

— შენ ის მოთხარი, თუ გეცნობა გვარი აივანაშვილი?

— მეცნობა კი არა, ვიცი, — არც კი დაფიქრებულა ამირანი. — ერთ-ერთი ქვეჯგუფის მეთაური ჩანს.

— ზოდა, მაინც ეს კაცი და, მასთან მისი ჯგუფიც, სუფთად უნდა გავიდეს.

— როგორ „სუფთად“? ან რატომ?

— რატომ და, ჯერ ერთი, საჭირო კაცია, ეს გაითვალისწინე, — დაბეჯითებით განაცხადა ნიკომ.

— ვისთვის არის საჭირო?

— თუნდაც ჩემთვის. ეს არ არის საკმარისი? მაშინ იცოდე, რომ უფრო შენ გამოგადგება, ბოლოს და ბოლოს, სანამდე უნდა იყო იმ ერთოთახიან ბინაში? ბიჭი იზრდება, არ აპირებ გაფართობას?

— მოვა დრო და გამაფართობებ... კარგი, ვთქვათ, ეს ერთი არგუმენტია. მეორე?

სამთავნელმა ერთი მოწვევით გაანახევრა სიგარეტი. შემდეგ ერთბაშად ამოისუნთქა და ყელში ჩარჩენილი კვამლისაგან ოდნავ დაყრუებული ხმით ხმადაბლა თქვა:

— მეორე ის, რომ საშიში კაცია.

— ვისთვის? — გაეცინა ამირანს.

— საერთოდ. მაშასადამე, შენთვისაც.

— რით? — ამირანს ღიმილი არ შორდებოდა პაჩეზე.

ნიკო გაბრაზდა:

— იმით, რომ დიდი ნაცნობობა აქვს და მაინც ვერაფერს დაალებთ... შენ ხომ იცი, მე ბავშვი არა ვარ. სამ-



მართველოა უფროსსა და მეცნიერებათა კანდიდატა ავი-  
სა და კარგის გარჩევის უნარიც მომანიჭა ღმერთმა.

— საინტერესოა... კი მაგრამ, გამაგებინეთ, რას თხო-  
ვლობთ ჩემგან?

— რა მინდა და, ნუ ჩაერევი მაგ საქმეში, არაა აუცი-  
ლებელი, შენ გამოიტანო სამუშეოზე ეგ ამბავი. ადექი  
და აიცილე რაიმე მიზეზით.

— მაგას ვერ ვიზამ! კაცმა ნახევარი მილიონი ასცინ-  
ცლოს ქვეყანას და მე თვალი წავუხუჭო, პილატესავით  
განზე გავდგე? იქნებ სხვასაც ამისკენ მოვუწოდო? ან რა  
მავალითი იქნება ეს ჩემი შვილისათვის?... არა, ბატონო  
ნიკოლოზ, არ გამოვ! ეს დანაშაული იქნება ჩემი მხრით,  
და ძალზე მძიმე დანაშაულიც.

— რისი ნახევარი მილიონი?! სხვამ შეჭამა და მაგას  
შეაწერეს — ცხვარივით კაცია და იმიტომ. რა გაცინებს?  
— ისევ გაბრაზდა ნიკო. — აი, დღეს მოვა და თვითონვე  
ნახავთ!

— სუფრაზედაც მოიწვიეთ?

— მეგობრის შვილია. არ მქონდა უფლება თუ? ძი-  
ვალეც ვარ...

— არ გამოვა ეს. — გაიმეორა ამირანმა და მოზო-  
ძილად დაჰკრა ხელისგული სავარძლის სამკლავურს. —  
კირა ბატონო ნიკოლოზ, ვერ გავდგები განზე. არ შემი-  
აღია, სისხლში არა მაქვს ასეთი რამ. მიიღეთ ეს (ანობად,



როგორც იურისტები ამბობენ ხოლმე, და დავამთავროთ  
ეს ფუჭი ლაპარაკი.

მეორე დიალოგი: ნაშუადღევ. აივანი. ნელი. ამირან-  
ნი, კობა.

— რაო, ილაპარაკეთ შენ და მამაჩემმა?

— ჰო. ვილაპარაკეთ.

— მერე?

— დღეს გამიცანი?

— არა, მაგრამ... ზოგჯერ ისეთი ვითარება იქმნება,  
რომ იძულებული ხდები უარი თქვა საკუთარ პრინცი-  
პებზე. დროებით მაინც.

— მე გერ არ შემეძმნია ასეთი ვითარება. და, ვფიქრობ,  
არც შემეძმნება.

— კი მაგრამ, შენამდე რომ არ მოსულიყო იმ გურ-  
გენ აივანაშვილის ამბავი, ობიექტურად რომ ვთქვათ, ხომ  
საერთოდ არ იარსებებდა შენთვის ის კაცი?

— ობიექტურად — სწორედ რომ იარსებებდა. დროე-  
ბით. ბოლოს ვინმე ჩემისთანა მაინც მიუზღადა და მსა-  
ხურებულად.

— ამირან, რამდენჯერ მითქვამს, ნუ დონეიხობო-  
მეთქი. მუდამ შენი გაგჭონდა და მუდამ აგებდი, ხან ვი-  
ზიკურად, ხან მატერიალურად. მოდი, დამიჯერე ამ ერთ-  
ხელ, ნუ ჩაერევი მაგ საქმეში. დაგიფასდება, იცოდე. ამ-  
დენი წლის ცოლ-ქმარი ვართ და ბინაც კი არა გვაქვს ხე-  
ირიანი, მანქანაზე აღარაფერს ვამბობ. სანამდე მქონდეს  
ამაო იმედი: აცე, ვირო, შემოდგომაზე იონჯა მოვაო?  
რატომ უნდა გვჯობდეს სხვა ან შენ და ან მე? აიცილე ეს  
საქმე, უყავი იმ კაცს სიკეთე და სამაგიეროს ასწილ გად-  
ევიხდის. მამაჩემი იძლევა ამის გარანტიას. გაიხედ-გამოი-  
ხედე, როგორ ცხოვრობს ხალხი, როგორი გატანა იცი-  
ან ერთმანეთისა, სამაგიეროდ, დულან და გადმოდულან,  
ცაში ვარსკვლავებს კრეფენ, არაფერი ამქვეყნიური სი-  
კეთე არ აკლიათ.

ამირანმა ენერგიულად გააქნია თავი.

— ასეთი უსინდისო და არამზადა, შენ რომ „ხალხს“  
ეძახი, თითო-ოროლა. სინამდვილეში, ჩემო კარგო, ხალ-  
ხი პატიოსანი მშრომელებიაგან შედგება. მე კი შენ წარ-  
მოიდგინე, ვბედავ და სწორედ ასეთების თანამოაზრედ  
მიმაჩნია თავი. აბაა!

— შენთან ხომ შეუძლებელია სერიოზული საუბარი!  
ასე ელაპარაკე მამასაც?

— დაახლოებით. სხვათა შორის, შენ თუ იცი, რომ  
იქ ტიპი თურმე სუფრაზე დაგვიჯდება დღეს და მოვეილ-  
ხენს? წარმოგიდგენია? და მე ტაში უნდა დაფუკრა!.. ეჰ,  
ქრემარიტად ღვთისსიერი და კეთილშობილი ქალია დედა-  
შენი! წასვლას ვაპირებდი, მაგრამ იმან მთხოვა და გადა-  
მაფიქრებინა.

— წახვიდოდი და ველარასოდეს შეირიგებდი მამა-  
ჩემს!

— ოჰ, მართლა?

— ამირან, კიდევ ვიმეორებ, ვიდრე გვიან არ არის  
დაფიქრდი. მაგ აივანაშვილის სახით იღბალი მოგვდგომია  
კარს და ნუ ვკრავთ ხელს. ნუ ჩაერევი მაგ საქმეში, გეს-  
მის თუ არა?!

ამირანმა გვერდში მდგარი კობა თავისკენ მიიზიდა და  
თმაზე ხელი გადაუსვა:

— იღბალა ჩვენ უიღბლოებს დაკუთმობთ, თვითონ  
კი პატიოსანი, შრომით გავიტანთ ლელოს. ხომ ასეა, ჩე-  
მო ბიჭუნე?

გააღმასებულმა ნელიმ ხელი ჩაიქნია, რალაც ჩაიბუშ-  
ლუნა, შებრუნდა და ოთახის კარი შეიჯახუნა...

შაბათის ოცკაციანი სუფრაც დიდებული გამოუვიდა  
ნაკო სამთავნელს. რვა წლის იუბილარი სუფრის თავსი.  
ხელმარცხნივ დაიავა მასპინძელმა, მაგიდის თამადამ, და



თუმცა ბიჭუნასათვის ღვინო აღარ დაუძალებია, ალავერდებს სულ მასთან გადადიოდა.

ამირანის პირდაპირ ერთი შავგვრემანი, დანის პირივით ვიწროულვაშიანი, ღიდრონთვალეა კაცი იჯდა. დენდივით ეცვა, ინტელიგენტური მანერები ჰქონდა, მაგრამ რალაკით მაინც შარავზის ყაჩაღს ჰგავდა. ამირანმა მაშინვე გაიფიქრა, გურგენ აივანაშვილი სწორედ ეს იქნებაო, და არც შემცდარა.

კობას მეხსიერებაში ჩარჩა აივანაშვილის პირობითი ღიმილი, მამის დამცინავი მზერა, არც ის გამორჩენია, როცა თამაღის წინადადებით აივანაშვილის სადღეგრძელო მთელმა სუფრამ ფეხზე ადგომით შესვა, ამირანს არამც თუ ჰქვისათვის არ უხლია ხელი, ოდნავდაც არ წამოწეულა სკამიდან. თამაღს მაგიდის წვევრის თავებობა ვითომ არ შეუნიშნავს. სამაგიეროდ აივანაშვილს მგლის-ვეერი ღაედო და ქვედა ტუჩი ისე მოიკეციტა, ზედ კარგა-ჩანს აჩნდა ნაკბილ კბები.


— გვეშველა, — თქვა დედამ. — შემობრუნდებით ჩავესხდებით. გაიყინე, ხომ, შეილო?

მაგრამ გავიდა ერთი წუთი, მეორე, და ტაქსიდან არავინ გამოსულა. უახლოეს ბოძზე ნათურა გადამწვარი იყო და ქუჩაში ბნელოდა, თანაც მანქანა დაბურული ალვის ჩრდილში იდგა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველამ — კობამაც კი — იგრძნო, რომ ტაქსი რალაკ ხდებოდა.

— რალაკ ამბავია! — ხმადაბლა შესძახა ამირანმა. ერთ ხანს ისევ დაუინებით აცქერდებოდა ტაქსს, მერე მანქანისაკენ გადადგა ნაბიჯი, მაშინვე წამით უკან მოიხედა: ცოლ-შვილისაკენ: — თქვენ მანდ იდევით, ფეხი არ მოიცვალთ!

— ამირან! არ მიხვიდე, ამირან! — თითქოს გულიდან ამოსკდა წელის. — რა იცი, ვინ არიან! არ გესმის, კაცო?!

— შეეშვით, ბატონო ამირან, იმათ თავად ციან თავიანთი საქმე. — აივანაშვილმა ფრთხილად შეავლო მკლავზე ხელი. — არ გინდათ.



კარგად ახსოვს კობას, მერე, გვიან ღამით, ოთხნი რომ იდგნენ კალანდაისა და გოგებაშვილის ქუჩების ბნელ კუთხეში, ხის ქვეშ. დაიჩემა შეზარხოშებულმა აივანაშვილმა — უსათუოდ ტაქსით უნდა აგიყვანოთო შინ. ცალკე იდგნენ ის და მამა, ხმადაბლა საუბრობდნენ. აივანაშვილი გაცხარებით უმტკიცებდა თუ სთხოვდა რალაკს. ამირანი მშვიდად, აუღელვებლად პასუხობდა. კობას სციოდა, დედას ეკვროდა და ერთი სული ჰქონდა, როდის ჩაჯდებოდა თბილ მანქანაში.

კუთხის სახლის კედელს მოცახცახე სინათლე მიადგა და მაშინვე ქვევიდან ძრავას გუგუნე მოისმა. წამის შემდეგ ღამესავით შავმა „ვოლგამ“ საბურავების გრიალით ამოიარა პეტრიაშვილის აღმართი, გოგებაშვილის ქუჩა გადასჭრა და კუთხის სახლთან, საოცრად გალაღებულნი, ფართოდ ტოტეებგადაშლილი ალვის ხის ქვეშ გაჩერდა.

— თქვენ დაიცადეთ, მე ვნახავ, — ხელის აწევით შეაჩერა ამირანმა. სიჯიუტის ნასახივ არ იგრძნობოდა მის ხმაში. მშვიდი და თავდაჯერებული იყო. — იქნებ არც არაფერია ისეთი.


ამირანი მარცხენა მხრიდან მიუახლოვდა ჩაბნელებულ ტაქსს. ორ ნაბიჯზე რომ მივიდა, შოფრის მხარეს კარი გაიღო და იქიდან საშუალო ტანის კაცი გამოვიდა.

— რა გინდა, ბიჭო? — მუჭარაგარეული ხრინწიანი ხმით იკითხა. — ვიწრო გზა არი? გავლას გიშლით? ძალიან გინდა გავატარო? — თან წელა უახლოვდებოდა, იგრძნობოდა, რომ ერთიანად დაძაბული იყო, როგორც ნახტომისათვის შემზადებული ფოცხვერი.

ამირანმა ხმით იცნო.

— აქ რას აკეთებ, სერაფო? შენ ახლა ნაძალადეგში, საკუთარ ცოლ-შვილში უნდა გეძინოს, ამ ნაშუაღამევს რა საქმე გაგჩენია ვაკეში?





სერაფო თითქოს კედელს შეეჯახა.

— ვა, თქვენა ხართ, უფროსო?! — ხრინწი უკვალად გაუქრა და ხმაში თაფლი გაურია. — სიდან სადაო, ა? კაცი კაცს სად არ შეხვდება, აი! მოდი და ნუ გაგიტყდა, ვა-ახ!

სერაფო ორჯერ იყო ნასამართლევი დ ორივეჯერ კაპიტან ბლაგიძის ხელში გაიარა. უკანასკნელად სამი თვის წინ გამოუშვეს.

— ვინ არის მანქანაში? — მკაცრად ჰკითხა ამირანმა. — შენი ამფსონები არიან?

სერაფომ ხელები გაასავსავა და ხმას დაუწია:

— არა, უფროსო, დღეს პირველად ვნახე, ჩემმა მზემ არა ვტყუი! იცით რა, უფროსოჯან, ერთი აქეთ მოდექით, — კიდევ უფრო დაუწია ხმას. — მოდით, რა, მითამ არაფერი დაგინახავთ. მითამ აქ არა ყოფილხართ, მაინც ხო თქვენი რაიონი არ არი, მოდით, ნუ ჩაერევი, რა, სხვანაირი ბიჭები არიან. ვაითუ... ა, უფროსო, ხო იცით, როგორ პატივსა გცემთ...

ვიდრე ხმას ამოიღებდა, ამირანმა მკლავზე ხელის შეხება იგრძნო.

— მართალს ამბობს, ამირან ბატონო, ეს კაცი, — აივანაშვილი მოსდგომოდა გვერდით. — არ გინდათ...

— აი, ხო გეუბნებოდით! — გაუხარდა სერაფოს.

— წავიდეთ, ქვემოთ, მელიქიშვილზე ან ფილარმონიასთან დავიჭერ თ მანქანას, — შესთავაზა აივანაშვილმა. — შევეშვათ.

ამირანმა თავი გააქნია:

— თქვენ ნურაფრისა გეფიქრებათ. აბა, სერაფო, ვამოიყვანე მანქანიდან შენი ძმაკაცები!

— უფროსო...

— სერაფო-მეთქი! — ფოლადი გაერია ხმას.

აივანაშვილმა ხელები გაშალა (აქაოდა, ჩემი ვალს მოვიხადეო) და უკან გაბრუნდა, აკანკალებულ ნელისა და კობას დაუდგა გვერდით.

— აი, მუდამ ასეა, — ჯავრობდა ქალი. — აუცილებლად უნდა ჩაერიოს სხვის საქმეში! რა ეკითხება ნეტა, ვინ არიან და რა ხდება, სულაც კისერი უტეხიათ!

— მეც ეგ ვუთხარი, მაგრამ...

მანქანიდან სამი კაცი გადმოვიდა. ახალგაზრდები ჩანდნენ, ტანმაღალნი, მხარბეჭიანნი იყვნენ.

— რა ამბავია, რა ბაზარი გამართეთ აქ?! — მკვახე, მბრანებლური ხმით იკითხა ერთმა, თეთრი ჯინსის შარვალი რომ ეცვა. — აბა, აითესე აქედან, ყმაწვილო, სანამ ლამაზი ხარ!

მძარცველები ნახევარწრედ გაიშალნენ და ამირანი რკალში მოაქციეს. მას ახლა მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა — უკანდასახევი გზა. კაპიტან ბლაგიძეს უკვე ეჭვი არ ეპარებოდა. რომ სწორედ მძარცველებთან ჰქონდა საქმე. მანქანაში მარტოდ დარჩენილმა მძღოლმა დრო იხელთა, ელვის სისწრაფით მიიხურა კარი, ძრავა ჩართო, მანქანა თვლების ღრქილით შემობრუნდა, ახალგაზრდა აკაციას საბარგულის კუთხე გაჰკრა, მაგრამ სვლა არ შეუწყნებოდა. სიჩქარე გადართო და ძრავას ღმუილითა და საბურავების წივილით თავკვე დაუყვა კალანდაძის ქუჩას.

პირველმა თეთრშარვლიანმა დაარტყა ამირანს. დარტყმა სწრაფი იყო, პროფესიული სიზუსტით შესრულებული. ამირანმა ხელის აკრა მოასწრო, მაგრამ დარტყმა მოლიანად ვერ აიცილა და მარჯვენა ყურში უროსავით მოკვდა მოქნეული მუშტი. კაპიტან ბლაგიძეს წონასწორობა არ დაუკარგავს, ოდნავ მარცხნივ გადახრილმა მარჯვენა მხარი წინ გადაიქნია და გამართული თითები საშინელი ძალით დააძგერა გულის კოვზში მოწინააღმდეგეს.

— ვეპ! — აღმოხდა თეთრშარვლიანს, მუცელზე ხელი იტაცა და ჩაიკეცა.

— ამირან! — ცივად იკივლა ნელი.

— პალუნდრა! — ჩახრინწული ხმით დაიხრიალა სერაფომ და ვარაზისხევისკენ გაქუსლა.

გოგებაშვილის ქუჩაზე, პეტრიაშვილზეც რამდენიმე ფანჯარა გაიღო. მაგრამ სინათლე არავის აუნიოა, არც ხმა ამოუღია ვინმეს.

— უხ, შენი!.. — ჩაისისინა ერთ-ერთმა მძარცველმა და ქამრიდან მილის ნაჭერი ამოიძრო. — გაგათავე და ეგ არი...

ამირანი მისკენ შებრუნდა, მაგრამ იმავე წამს მეორე მძარცველი მოულოდნელი ნახტომით ფეხებში შეუვარდა და წააქცია.

— გურგენ, მიეშველეთ, ბატონო გურგენ! — მკლავში ჩააფრინდა ნელი აივანაშვილს. — მიეშველეთ, მოკლავენ!

აივანაშვილმა მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

ერთმანეთს გადაჭდობილი ორი სხეული ასფალტზე გორავდა. ტროტუართან დაგდებული თეთრშარვლიანი შეირხა, ხელებს დაეყრდნო და წამოჯდა. ეტყობა, გონს ჯერაც ვერ მოსულიყო, თავი ურაცრაცებდა. მილის ნაჭრით შეიარაღებული კი მოჩხუბრებთან ტრიალებდა და გარშემო უვლიდა, მოხერხებულ წამს არჩევდა.

ქვევიდან ძრავას გუგუნი მოისმა. სწორედ ამ დროს თეთრშარვლიანი, როგორც იქნა, წამოდგა, მაგრამ ძალა არ ეყო და ნაბიჯი ვერ გადადგა, წელში მოხრილი და მუცელზე ხელაფარებული ულონოდ მიეყრდნო კედელს.

— მოკალი, მაგის... — დაიხრიალა.

შეძახება და მილის მოქნევა ერთი იყო. ყრუ დარტყმის ხმა მოისმა. მოჩხუბართავე ერთი, რომელიც იმ წამს ზემოდან მოექცა მეტოქეს, ერთბაშად მოდუნდა და ასფალტზე გულალმა გადავარდა. მოძალადემ მეორედ მოუქნია მილის ნაჭერი და გამეტებით, მთელი ძალით დაჰკრა შუბლში...

ეს იყო და მაშინვე ის წელანდელი ტაქსი ამოიჭრა გოგებაშვილის ქუჩაზე, მას მილიციის ყვითელი „უიგული“ ამოჰყვა...

კობამ ველარ გაიხსენა, მერე რა მოხდა, არ ახსოვს. როგორ შეიპყრეს ბანდიტები, როგორ წაასვლენეს მამა, როგორ დაკრძალეს, როგორ ტიროდა დედა... არ ახსოვს, რადგან ერთი თვე საავადმყოფოში გაატარა.

მაგრამ სამაგიეროდ მტკიცედ ჩარჩა მესხიერებაში აკაციის ძირში უდრტინველად მდგომი აივანაშვილი და ჩაბნელებულ ფანჯრებში გადმომდგარ მოსიერე ლაჩართა სილუეტები, რომლებიც სხვის საქმეში არ ჩაერივნენ.

## თავი მეექვსე

ქვეყნად არაფერი შეედრება იმ იდუმალ სიმშვიდეს, რომელიც მოახლოებული შუადღის მოლოდინში გარინდებული, ტოტებგაბარჯლული მალა-მალალი თხმელეებით მოჩრდილული პატარა მდინარის პირას დაივანებს ხოლმე. თუმცა მთლად ასე არ გვეგონოთ, სიმშვიდე კი დაუფლებია აქაურობას, მაგრამ გარშემო ეველაფერი როდი დუმს: მდინარე გამუდმებით ლიკლიკებს, დროდადრო ფუტკარი ჩაიბზუილებს ან მძიმე ზუზუნით ჩაიფრენს დიდი შავი ხოჭო, წყლიდან ბუყბუყით ამოვა აირის ბუმტულები. ონავარი თევზი გაიტყალაშუნებს ზედაპირზე და სულ გეჩვენება, რომ ვილაც გეპარება ზურვიდან — იქნებ ალი ან ჭინკა — თან იცი, რომ სისულელეა ამასე უიჭრი, მაგრამ უკან მიხედვისა მაინც გეშინია. ამასობაში... ამასობაში ტივტივა შეირხევა უცბად, ოდნავ ჩა-





იყურყუმალავეებს, მერე გეზად გაცურდება წყალზე და შენც მყისვე ყველაფერი გავიწყდება ამ ქვეყნად — ალიც, ოჩოკოჩიც და ისიც, რომ ბებიაშენს კარგა ხანია გზისკენ უჭირავს თვალი და მოუთმენლად ელის შენს გამოჩენას... მაგრამ როგორ გინდა შევილი ამ მონატრებულ სიმშვიდეს!

ბებია... როგორ გაიხარა, როგორ...

ის დილა გაახსენდა:

— ვისი ხარ, ნენა, შენ? — სანდომიანმა თმაჭალარა ქალმა ხელი მოიხრდილა და ჭიშკარზე მომდგარ მალა-მალა ყმაწვილს თვალმოჭუტული დააკვირდა. კობამ ჭიშკარი შეაღო, ეზოში შევიდა და მოხუცისგან ორ ნაბიჯზე შეჩერდა. — მოიცა, მოიცა... შვილო, ნენა! ჩემი ამირანის!.. ჩემი ამირანის იაკობი... კობა, ბიჭო, შენ შემოგველოს გამხმარი ბებიაშენის სიცოცხლე, შვილო! — მოხუცს მუხლი მოეკვეთა და კობა რომ არ შეშველებოდა, ნამიან ბალახში ჩაიკეცებოდა.

ძლივს მოიგერა გული შვილიშვილის ალერსით. ვალენის ტახზე ცივი წყლის მოსატანად რომ წავიდა, იქ მეზობელი ქალების ჩგუფი დახვდა — გვალვა იდგა და დედაკაცები ტახში წყლის დონის მომატებას ელოდებოდნენ. ჰოდა, ნახევარ საათში მთელმა იმ კუთხე-გარემომ იცოდა ახალი ამბავი — ნინო ბლაგიძეს მისი ამირანის ბიჭი ჩამოუვიდაო, რომ შეხედავ, იმხელაა, კაცი გვეგონებაო.

ბებრმა მეზობელმა მოინახულა იმ დღეს თბილისელი სტუმარი, ყველამ გაიკვირვა, რამხელა ბიჭი გაზრდილიყო, ყველამ ოხვრით მოიგონა უბედური მამამისი. ხოლო სალამოს გვიანობამდე არ დაწოლილან ბებია და შვილიშვილი — უამრავი სათქმელი დაგროვებოდათ, მოსაგონარს ხომ სათვალავი არა ჰქონდა... რამით კი სიზნარი ნახა კო-

ბამ: ისევ პატარა იყო, ოდის გვერდით, ასწლოვანი ცოცხლის ჩრდილში გაშლილ ჭილოფზე წაღმა-უკუთმარებელი ალობდა, აქეთ მამა ხარხარებდა, იქით დედა კვდებოდა სიცილით, ცაცხვის ფოთლებიდან კი მზე უპაჭუნებდა თვალს... ეჰ, კარგი იყო...

მეორე დღით ჭოლამ და ვალიკომ შემოაჭრილეს უკანა ეზოს ჭიშკარი. რა თქმა უნდა, ახსოვდა ეს ბიჭებო, თუმცა იმდენად კი არა, რომ ჭუჩაში შეხვედრისას ერთმანეთი ეცნოთ, მაგრამ როცა ნინო ბებიამ კობას უთხრა, ე, გახედე, ძველი მამბიჭები, ჭოლა და ვალიკო მოგივიდნენო, ბიჭის მესხიერებაში მაშინვე აღდგა პატარაობის გაუხუნარი სურათები: გაგანია სიცხეში ბურთის ვაჟთავებული დევნა, ღელეში ჭყუმპალაობა და ცურვასი გამართული შეჯიბრება, ერთი ცალი მსხლისთვის ცამდე აშოტილი ხის კენწეროზე აცოცება, ჭვათირში ბაყაყებზე მშვილდ-ისრით ნადირობა, უფროსების ნამალევად ფიხის კოცონზე სახელდახელოდ შებრაწული ჭყინტი სიმინდის ჭკამა.

ბიჭები ჯერ საკმაოდ თავდაჭერილად შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ მალე გაშინაურდნენ და ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენეს...

ტივტივა უცებ შეირხა, მაგრამ ზედაპირზე კი არ აცურებულა, არამედ პირდაპირ ჩაყვინთა წყალქვეშ და იქ გაჩერდა. კობა მიხვდა, რომ ჭიაყელიანი ნემსკავი ლორჯომ გადასანსლა — ლორჯომ იცის ასე: უცებ მოკრავს თვალს მის თავზე მოქანავე სატყუარს, ფარფლებსა და ბოლოს სწრაფი მოძრაობით მოწყდება ფსკერს, სადაც აქამდე უმოძრაოდ იყო გართხმული, ლაყურებამდე გახეული ვეებერთელა პირით მიწვდება ნემსკავს, გადასანსლავს, ისევ ფსკერის შლამს გაეკვრის და გაილურსება.

დიდი, შავი ლორჯო იყო, მტკაველს აღარაფერი უკლდა.

კობამ ნემსკავს ახალი ჭიაყელა წამოაცვა და ისევ ჩაუშვა წყალში...

მაშინ, პატარა ბიჭობისას, ერთხელაც არ სჭერია ხელში ანკესი. სხვების დაჭერილ, რიყეზე ასხმარტალეზულ თევზს რომ შეხედავდა, მისი საცოდაობა გულს უკლავდა და თვალები ცრემლით ევსებოდა. როცა ჭვათირში გამართული ნადირობისას ჭოლა ან ვალიკო თვალებდაკუსულ უწყინარ ბაყაყს ისარს დაარჭობდნენ და გახარებულები საზეიმო ყოყინას ატეხდნენ, კობა მეორე მხარეს მიბრუნდებოდა, ისარს უმისამართოდ გატყორცნიდა და ვითომ გაბრაზებული დაყოლებდა — „ფუი, ახლაც დავაცილეო“... უფრო მეტიც: ის კაცი ეჯავრებოდა, ვინც უღელში შებმულ ხარს შოლტა გადაუჭერდა... ქათამს მის თვალწინ თუ დაკლავდი, იმ ქათამის ხორცს ახლოს აღარ გაეკარებოდა... ნინო ბებიასაც სულ ის ჰქონდა სალაპარაკო, ერთხელ მეზობელს რომ სთხოვა, ეს ჩემი ღინტილა სხვის ბოსტანში ძრომას დაეჩვია და დამიუღლეო, კობამ კი ტირილით ქვეყანა დააქცია და გოჭისთვის უღელი არ დაადგმევინა...

ერთხელ მეზობლისას გადაიყვანა მამამ კობა. აკაკი ბიბია თავისი დიდი ეზოს ბოლოში (სოფელი აქ თავდებოდა და აქვე კარგა დაბურული ტყეც იწყებოდა) კვება წიფელს უტრიალებდა, ხელში ალესილი, ვერცხლისფერად მოლაპლაპე ცული ეჭირა. უნდა მოვჭრაო, — უთხრა ამირანს, — გოგია ღრანჯას მასალად სჭირდება და უნდა მიგყიდოთ. კობამ იცოდა, რომ წიფლის ღრუში ციყვის ოჯახი ცხოვრობდა, იცოდა და მალავდა, მეგობრებისთვისაც კი არ გაუმხელია, რამე არ ავნონო. ახლა, აკაკის სიტყვები რომ მოახსინა, ელდა ეცა. ის ღრუ თვალთ მოძებნა და მამას სახელოში ჩააფრინდა.





ქეთევან ჭილაშვილი თავისი შემოქმედებით ნიჭიერი გამგრძელბელია იმ სასახელო ტრადიციებისა, რომლებითაც მდიდარია ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობა. როდესაც მის შესანიშნავ ნაწარმოებებს კითხულობთ, რწმუნდებით, რომ მწერალი ქალი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის მოვალეობას, ვინაიდან, როგორც დიდი იაკობი ამბობდა, „...საბავშვო მოთხრობების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაითს შრომას“.



## ქეთევან ჭილაშვილი

ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობის სახელოვან წარმომადგენელთა შორის ქეთევან ჭილაშვილს ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უკავია. აგერ უკვე ოცდაათი წელია, რაც მწერალი ქალი რუდუნებით ემსახურება კეთილშობილურ საქმეს — ნორჩი თაობის სულიერ აღზრდას. მისი პირველი მოთხრობა „და-ძმა“ დაიბეჭდა 1951 წელს ჟურნალ „დილაში“, ხოლო პირველი წიგნი „პატარა მეგობრები“ 1953 წელს გამოიცა. ამის შემდეგ ქ. ჭილაშვილის მოთხრობების კრებულები თამამად მიიკვლევენ გზას მკითხველთა გულებისაკენ. ესენი არიან „მოთხრობები“ (მოზარდთათვის), „შეხეთ ლიას ეშმაკობას“, „ნაკადულები მოიძღვრიან“, „აფრინდა, აფრინდა“, „სკოლის ჭიშკართან“, „ეკიპაუი კისკისა“, „დიდი ხუთიანი“, „მარცვალა და ხარისთვალა“ და სხვ. მწერალმა დრამატურგიაშიც მოსინჯა კალამი: 1972 წელს მოზარდ მკითხველთა სახელმწიფო თეატრში დაიდგა პიესა „აცა-ბაცა“, ხოლო

1978 წლიდან დღემდე იდგმება მის მიერ პიესად გადაკეთებული მოთხრობა „ივენანამ რა ჰქმნა“.

წლების მანძილზე ქეთევან ჭილაშვილი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს მდივანი და კონსულტანტი, ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ჟურნალ „პიონერისა“ და გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებში.

ქეთევან ჭილაშვილის მშვენიერი მოთხრობები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ენებზე ითარგმნა, მისი გმირები რუსი, სომეხი აზერბაიჯანელი, ლიტველი და სხვა ეროვნების ნორჩ მკითხველთა ცხოვრების მუდმივი თანამგზავრნი გახდნენ.

კითხულობთ მწერალი ქალის შემოქმედებას და აშკარად გრძნობთ, თუ როგორი დიდი და წრფელია ის სიყვარული ნორჩი თაობისადმი, რომელმაც მას ხელში კალამი ააღებინა და ცხოვრების მიზნად სწორედ მოზარდთა გულებში სათუთი გრძნობების გაღვიძება, მათი სწორი აღზრდა დასახვინა. მისი გმირები შრომას არ ერიდებიან და წარჩინებულ სწავლასთან ერთად ცდილობენ, რომ შრომაშიც მოწინავენი იყვნენ, უფროსებსაც ეხმარებიან, ჯარასავით ტრიალებენ, ერთი სიტყვით, მშობლებისა და მასწავლებლების გულებს ახარებენ.

ქეთევან ჭილაშვილი შესანიშნავი მთარგმნელიცაა. მან თარგმნა ო. რომანჩენკოს მხატვრული ნარკვევი ალ. ჭავჭავაძის ცხოვრების შესახებ — „წინანდლის მფლობელი“, ვლ. უფლენიაკოვის „თეთრი გემი“ და ვიეტნამური მოთხრობების კრებული „სანუს ტყე“.

ქეთევან ჭილაშვილი თავისი მოთხრობების ბოლო წიგნის „მარცვალა და ხარისთვალა“ წინასიტყვაობას ასე ამთავრებს: „...გულით ვისურვებდი, რომ თქვენდამი დიდი სიყვარულით დაწერილი ეს წიგნიც იქნებ ერთ გოგონას ან ბიჭუნას მაინც გააყვეს კეთილ მოსაგონებლად“.

ეს ასეც ხდება. და ვუსურვოთ დეწლმოსილ მწერალს, რომ მისი კიდევ ბევრი ახალი წიგნი გაჰყოლოდეს თანამგზავრად ჩვენს ნორჩ თაობას.

ზურაბ გომეზაძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
კანდიდატი.

— რა იყო, შვილო? — დაეკითხა ამირანი. — გინდა რამე?

— მამა, ნუ მოჭრის, რა, ამ წიფელს აკაეი ბიძია, — ფეხის წვერებზე შედგა და უჩურობდა კობამ. — შენ უთხარი, მე არ დამიჯერებს. ნუ მოჭრის, რა!

— რატომ, შვილო? — გაუკვირდა მამას.

— აგერ, ამ ფულუროს ხელავ? ციყვი ცხოვრობს შიგ.

— ციყვი? შენ რა იცი?

— ვიცი. შარშანაც იქ ცხოვრობდა. — კობა ისევ ჩურობდა ლაპარაკობდა. — უთხარი, რა, ნუ მოჭრის. უთხარი, ჰო?

— რაო, ამირან, რა მინდაო? — დაინტერესდა აკაეი.

— რას გეჩურობდა შენი ბიჭი?

— რას და, მაგ წიფელზე ციყვი ცხოვრობს და ნუ მოჭრისო. მართლა ცხოვრობს, თუ იცი?

— არ ვიცი, არ შემინიშნავს. მაგრამ... — ჯერ ხე შეათვალიერა, შემდეგ კი კობას შეხედა აკაეიმ და გაუღიმა.


— მერე რა მოხდა, ბიძიკო, ფულურო რამ გამოლია ჩვენს ტყეში, ადგება ეს შენი ნაცნობი ციყვი და სხვაგან გადასახლდება, მე შენ გეტყვი, ბინის ორდერს მოსთხოვს ვინმე თუ რა? — აკაეის გულიანად გაეცინა თავისსავე ხუმრობაზე. ამირანმაც გაილიმა.

— ნუ მოჭრის, რა, მამიკო, ნუ მოჭრის, რა! — ხმა აუკანკალდა კობას და თვალში ცრემლი ჩაუდგა. — გული გაუსკდება ციყვს! პატარებიც ჰყავს!

აკაეიმ ის იყო ხისკერ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ბავშვის მუდარამ აიძულა შემობრუნებულიყო. ერთ ხანს უყურა ბიჭს, უყურა, მერე ახლოს მივიდა და თმაზე ხელი გადაუსვა. მიუალერსა. მაგრამ კობას თავის კანი ეტკინა — ერთიანად დაკოყრებული. ხეში ხელისგული ჰქონდა აკაეი ბიძიას.



# 100 კითხვა ფიზიკაში



ნინო ხარაზიშვილი

გამრავლების ტაბულის სწრაფად ათვისებას ნორა ბაქინიძეს უმაღლესი უმცროსკლასელი ია ლოლაური.

ვის არ ჰყოლია იდეალი ცამეტი-ოთხმეტი წლის ასაკში? ვინ არ ჩაუქრებია სამყაროს არსებობისა და ადამიანთა ცხოვრების ურთულეს სრობლებებს ჯერ კიდევ ყრმობის ასაკში?

ბავშვობისდროინდელი იდეალი... იგი მარტო ოცნებისმიერი კი არა, უფრო ინდივიდუალური შესაძლებლობების, ცოდნისმიერია და აუცილებლად პიროვნების შემოქმედებით პოტენციაში იღებს საზრდოსა და სათავეს.

ამ ყმაწვილთა უმრავლესობის იდეალი, თქმა არ უნდა, ფიზიკოსია, — მეცნიერების ამ დარგის ყოველ კუთხე-საიდუმლოებას ნაზიარები, მოაზროვნე, ექსპერიმენტატორი, მაძიებელი...

როცა ამგვარად ფიქრობ, არ შეიძლება. ყველაფერი, რასაც საყვარელ საქმეს დაუკავშირებ, შენთვის გამარჯვების ტოლფასად არ იქცეს, იდეალთან მიახლოებას არ ნიშნავდეს.

„ყოველი ადამიანი ვალდებულია, ნიჩაბი აიღოს და თავისი იდეალი ამოთხაროს“, — ბრძანებდა გოეთე.

და ეს უბრალო ჭეშმარიტება დიდ ადამიანთა — დიდ მეცნიერთა ცხოვრებამ მრავალგზის დაადასტურა.

სკოლის ვრცელ ფიზიკის კაბინეტში მარტოდ დარჩენა და დროითი და სივრცითი საზღვრების წაშლის შეგრძნება ერთია: კოპერნიკი, ფარადეი, ლენცი, ნიუტონი, ალ. პოპოვი... ჰგავს რაღაცით ეს წარმოსახვა მარკ ტვენის ცნობილი პერსონაჟის იანკის სხვადასხვა საუუუნეში მოგზაურობას. ვრცელია მოსწავლეთა საასპარეზო — მოზრდილი ლაბორატორია, ფიზიკის ცდებისათვის საჭირო ელემენტარული და რაღაც მოწყობილობა-ინვენტარი... რეაქტიური ძრავები, რევერსიული მექანიზმების მოდელები, ბიმეტალური რელები, რხევისა და ხახუნის ძალის განმსაზღვრელი, ამპერის კანონის სადემონსტრაციო ხელსაწყოები — მათი უმეტესობა წრის წვერთა ხელით არის ნაკეთები.


კარგა ხანია, ცხინვალის 1-ლი სამუშაო სკოლის „ნორა“ ფიზიკოსთა კლუბის“ ხანდაზმულობას მარტო წელთა სიმრავლით კი არა, მის აღზრდილ-დაფრთიანებულთა მრავალრიც-

ხოვნებითაც განსაზღვრავენ. ისინი კი უკვე თაობებსაც ქმნიან და სკოლისათვის ეს თაობები ისტორიაა; ისტორია, რომლის ფესვსაც 1881 წელს განსწავლულ ორკლასიან სასწავლებელთან მიეყვართ. ერთ-ერთ უძველეს სასწავლებელთან არა მარტო სამხრეთ ოსეთის აკადემიური ოლქში, არამედ მთელ საქართველოში.

უმეტეს შემთხვევაში ამგვარად ხდება: ფიზიკის საგანთან შეხვედრას ტექნიკის მიმართ ადრეული, უჩვეულო, ბიჭური ცნობისწადილი ასწრებს ხოლმე. და მოდიან წრეში სამუშაოდ მეოთხე-მეხუთეკლასელები, უფრო პატარებიც, მეცნიერების ელემენტარულ კანონზომიერებებს გაუცნობნი და სულ მცირედს — რაიმე დეტალის დამუშავებაში მონაწილეობის უფლებას ითხოვენ.

ალბათ ამიტომ არის, რომ ეს ფიზიკა-ტექნიკური წრეც უმთავრესად ხელმარჯვე, ალღოიან, საზრიან და ტექნიკით დაინტერესებულ, ასე ვთქვათ, მოკირკიტე ბიჭებს აერთიანებს. მათ დიდ ნაწილს ფიზიკის სასკოლო სახელმძღვანელოს მაგივრობას წრეში დამოუკიდებელი პრაქტიკული ჭეშაობა უწევს — მათ ხომ ჯერ არც შეუთქვამიათ ფიზიკა, როგორც სა-





სკოლო დისციპლინა. ამიტომ არის, რომ მათი ნამუშევრები, ხშირად მხოლოდ ალოოსა და საზრიანობის მაღალთ შექმნილი, ასე ფასობენ.

ინტერესი... რა თქმა უნდა, ინტერესი თავი და თავია. ყველაფერი მისგან იწყება, მისგან მოდის. კოლექტივში ჩაბმაც და საყვარელ საქმეში მოპოვებული პირველი სიხარულიც ინტერესისმიერია. იმ ინტერესისმიერი, ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებად რომ აქცევს ხოლმე საკუთარს. სხვათაგან განსხვავებულის, ახლის შექმნის სურვილს.

წრეში ბევრი ბიჭია და ესეც, ალბათ, კანონზომიერია.

— გოგონები უფრო თეორიული ფიზიკით ინტერესდებიან, — გვიხსნიან, წრის საერთო ხელმძღვანელი. სასწავლო ნაწილის გამგე ელიოზ მიქელაძე და პედაგოგი სერგო ფუხაევი. — ბიჭები კი ტექნიკასთან სიახლოვეს, აპარატურასთან ურთიერთობას, გამომგონებლობას, ფანტაზიორობას არჩევენ.

ფანტაზიორობა... თქმა არ უნდა. საფუძვლიანი, საზრიანი, გონივრული ფანტაზიორობა კარგი საქმეა. სისტე-

მატურად მონაწილეობენ ასეთ ფანტაზიორთა თავყრილობებში — ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ კვირეულებსა და შეხვედრებში — ამ წრის პიონერები და კომკავშირელები.

ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის საგამოფენო დარბაზში ახლაც არის ექსპონირებული ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკურ კვირეულში „ნორჩი ტექნიკოსები — სამშობლოს!“ გამარჯვებული ერთ-ერთი ნამუშევარი:

გამჭვირვალე ჭურჭელში ფხკაერი პროდუქტების მიმწოდებელი მიღება და ამონტაჟებული. ჩაუშვებ მონეტას და მილის ქვემოთ მიმაგრებულ ჯამში მონეტის ღირებულების შესატყვისი რაოდენობის პროდუქტი იყრება.

კვირეულზე დადებითად შეფასდა ამ „ფხვიერი პროდუქტების“ ავტომატური გამყიდველის“ ღირსებები. აღინიშნა, რომ მანქანას თავისუფლად შეუძლია გამყიდველის შეცვლა, რომ მისი დადგმა მოსახერხებელია საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და გასტრონომებში, სამრეწველო საწარმოებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელების — ზურაბ ბენდიანიშვილისა და გია ლონგურაშვილის ეს ნამუშევარი ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის სიგელით აღინიშნა. ეს კი აღიარებაა. მით უმეტეს, რომ მანქანა პრაქტიკულად სიცოცხლისუნარიანია და წარმატებით შეიძლება დაინერგოს წარმოებაში.

კიდევ უფრო დიდი გამარჯვება მოიპოვა ნორჩ ტექნიკოსთა გასული წლის თავყრილობებზე წრის წევრების, მეათეკლასელების — ზურაბ ლომიძისა და კობა ბურნაისის საერთო ნამუშევარმა. „პიონერსკაია პრავდას“ მიერ ორგანიზებული ნორჩ ტექნიკოსთა საკავშირო კონკურსის — „შექმენ, მოიგონე, სცადე“ — გამოფენის უფრომ მათი „ელექტროვიბრაციული დამხარისხებელი“ ყველაზე უფრო საზრიან, ორიგინალურ და პრაქტიკულად საჭირო კონტრუქციათა რიცხვს მიაკუთვნა.

დანადგარი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ქვანახშირისა და ქიმიურ მრეწველობაში. ასევე ისეთი ტექნოლოგიური პროცესებისათვის, როგორც არის ფქვილ-

ის დასუფთავება-გარჩევა და სხვა. ყოველ სასწავლო წელს, განსაკუთრებით, ზემოთა სკოლაში. დგება გეგმები, პროგრამები, კედლებზე იკვრება განცხადებები... და ტრადიციული „გონებაშახვილთა საღამოს“ სტარტზე ორი გუნდი — „ელვა“ და „სხივი“ დგება. ამ თავისებურ ვიქტორინას ფიზიკაში კომპეტენტური უიური აფასებს. „ნორჩი ფიზიკოსთა კლუბის“ ფოტომოყვარულთა სექციის წევრები კი ფოტოფირზე აღბეჭდავენ ამ საერთო-სასკოლო ზემოის მსვლელობას, ალბომებად, სტენდებად და იმ თავისებურ ფოტო-კინო არქივის კუთვნილებად აქცევენ, რომლის ფოტო-კინოდოკუმენტები მათი მშობლიური სკოლის თითქმის მთელ, საუკუნოვან ისტორიას მოიცავს.

ამას დაუმატეთ მონაწილეობა მოსწავლეთა სასკოლო, საოლქო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური და ადგილობრივი სადგურების ღონისძიებებსა და გამოფენებში, სისტემატური მუშაობა სასკოლო სახელოსნოში, ფიზიკის ლაბორატორიაში, ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში... ეს კიდევ არაფერი, რომ დეტალების შოვნა შეიძლებოდეს. ხან ძრავის შოვნა ჭირს, ხან — მომჭერების, ხან — სახელურისა... ერთი სიტყვით, ძალიან უჭირთ. ეს განსაკუთრებით იმათზე ითქმის, ვისაც არცთუ ისე სახარბიელო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს.

ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლის ფიზიკა-ტექნიკური წრის წევრებსა და პედაგოგებსაც აქვთ, თავის მხრივ, პრობლემები. მათაც, სხვათა მაგავსად, თავადვე უხდებთ საკუთარ კონსტრუქციას და მექანიზმთა ნაწილებზე ზრუნვა. თუ სასკოლო სახელოსნოსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურში ვერაფერი მოიძიეს, ჩამოფასებული საქონლის მაღაზიაში გარბიან. იქიდან იშვიათად ბრუნდებიან ხოლმე გულნაკლულები. იმ დღესაც, კარგი ძრავები აქვსო, და უამრავი სათამაშო ცეროდენა სარეცხის მანქანა მოიტანეს სკოლაში...

ასეა. სიბნელეთა და დაბრკოლებათა გადალახვის გარეშე არაფერი არ მოდის. და ვინ იცის. იქნებ კარგიც არის, მზამზარეულად რომ არაფერი ეძლევათ წრის წევრებს. ვინ მოთვლის, რამხელა დამოუკიდებლობასა და საზრიანობას სძენს, როგორ მუყაითობასა და პრაქტიკულობას ასწავლის ამგვარი გარჯა ბიჭებს.


ზაზა ტრანკაშვილი, ზურაბ მძინარაშვილი, ზურაბ რომელაშვილი, მერაბ დევიძე, ზურაბ ოთინაშვილი, ალექსანდრე ბეგიაშვილი, რევაზ კო-



ფიზიკის ლაბორატორიაში კინოჩინი წრის უკულა წევრის ნამუშევარი



შანტაჟიორებად იცნობენ წარუბი მუშვიდაკლასელებს რაწო კაპანაძესა და ზიორაბი ლონაშვილს.



გოგონათ არ დაიწუნებან წორაბი ფიზიკისოცუბა რული ლეილა ჰოზინაშვილი.

პაძე... ისინი სხვადასხვა ასაკისაა: ალიან, განსხვავებული განვითარების, განსხვავებული ფიზიკური და სულიერი მომზადებისა, მაგრამ ყველაზე აქტიურ, გამორჩეულ წევრებად ათვლებიან სკოლის „ნორჩ ფიზიკოსთა კლუბში“. და კიდევ ერთი რამ აერთიანებთ მათ — ფიზიკის სიყვარული.

ეს სიყვარული კი მარტო ტექნიკური პროგრესის სიყვარული როდია. იგი დიდი შრომისა და დაძაბვის შედეგად მოსული და მაინც თითქოსდა მოულოდნელი გამარჯვებების სიყვარულიცაა, კაცობრიობის უკეთეს მომავლისაკენ სწრაფვაც, ადამიანის შესაძლებლობათა განუზომლობის დაჩერებაც. და სულ ერთია, რით გამოიხატება იგი — ტექნიკით გატაცებით თუ ფიზიკის კანონების კარგად ცოდნით, გამომგონებლობით თუ სპეციალური ლიტერატურის სისტემატური კითხვით... მთავარია, რომ იგი არსებობს. მთავარია, რომ იგი ეხმარება უამრავ ბავშვს — ხვალისდელ ზრდასრულ პიროვნებას საკუთარი ხასიათის; მისწრაფება-მოწოდების პოვნაში, ასწავლის მათ შრომისა და ნებისყოფის, ძიებისა და მიგნების, დამარცხებისა და გამარჯვების ფასსა და ლაზათს.

ამაზე მეტყველებს ამ ბავშვების საქმიანობა, მათი ნაშუშევრები — პიონერების მიერ საშუალო საბაშვობის აღსაზრდელოათვის დამზადებული ნაირ-ნაირი სათამაშოები, უპროსკლასელათვის განკუთვნილი, წრის წევრთა ხელით ნაყეთები დასაღვემელი საანგარიშოები და ელექტრიფიცირებული გამარჯვების ტაბულეები; ისტორიისა და გეოგრაფიის დისციპლინებისათვის განკუთვნილი თვალსაჩინო მასალა მე-10 ხუთწლედის სამრეწველო ობიექტებისა და სსრ კავშირის სამეცნიერო ცენტრების ელექტრიფიცირებული რუკები, ფიზიკისა და გეომეტრიის გაცვეთილებისათვის გამოზნული ელექტრიფიცირებული სტენდები...

...ეს ყმაწვილები ჯერაც ოცნების ქვეყანაში სახლობენ. მათ ხვალისდელზე კი დღესდღეობით მხოლოდ უფროსები, მათი აღმზრდელები — მშობლები, პედაგოგები ფიქრობენ. ფიქრობენ და გრძობენ დიდი საბჭოთა პედაგოგის. მათი სულიერი წინაპრის ვ. სუხომლინსკის ფიქრისა კითხვების თანადროულობას:

„როგორი მოქალაქე, როგორი ადამიანი დადგები შენ. პატარავ? რას მოუტან საზოგადოებას, რა გავაზარებს, რა აღგაფრთოვანებს, რა აღგამფთოთებს, რაში ჰპოვებ საჭუთარ ბედნიერებას. რანაირ კვალს დატოვებ?“

ფოტო ვ. გორისანაოვი



# ბიბლა

ლაქრანგი ჭიჭინაძე

მხატვარი რ. კარამურა

მოთხრობა

ხარი ხართან რომ დააბა, ან წნეს იცვლის, ან ფერსაო.

ანდაზა

სალამოს ბაბუაც რომ შეეკითხა გიგლას: — გაკვეთილება ისწავლე? — პასუხის მაგივრად ბიჭმა იქით მიმართა:

— ბაბუა, სულ რომ ერთი კითხვა გაქვთ ამოჩემებული, რატომ სხვა რამეს არ მეკითხებით?

— სხვა რა საქმე გაქვს? არა და, სწავლაზე მეტ დროს თამაშს ანდომებ. როგორც კი ბავშვების ხმას გაიგონებ, გარბიხარ, თქვენს თამაშს დასასრული არა აქვს. დაღამდება და წიგნს მერე გადაფურცლავ ხოლმე.

— ბაბუა, ეგრე რატომ მეუბნები? ცუდი ნიშნები მაქვს თუ?

— მართალია, ცუდი ნიშნები არა გაქვს, მაგრამ სამიანები კარგია? სამიანებს ოთხიანები და ხუთიანები სჯობს!

გიგლამ გაიღიმა და ასე უპასუხა: — ჩემი ამხანაგები ამბობენ: სამიანები და ჩანმრთელობაო.

— ეგ ხუმრობა ცხოვრებაში არ გამოვადგება, თამაშს მოუტელი და სწავლას მოუმატე! — დაარიგა ბაბუამ.

— ახლა თუ არ ვითამაშე, აბა როდისლა? დიდი რომ გავიზრდები?

მართლაც, რა ქნას გიგლამ? გული ბავშვებისაკენ მიუწევს. საოჯახო საქმეს თუ დაავალბენ, უარს არაფერზე ამბობს. ბინის დალაგებაშიც ეხმარება დედას.

სამიანზე ნაკლები არასოდეს მიუღია. ზოგჯერ კი ოთხიანიც იწერება მის დღიურში.

ზაფხულის არდადეგები დადგა. მამამ სოფელში წაიყვანა გიგლა.



პატარა ბავშვების

გაზაფხულის  
სურათები

იღვიძებს მიძინებული  
მინა, ბალახი, ბუნება...  
სახეზე თბილი წიავი  
საამოდ გვესალბუნება.

მალე მზე — დიდი მხატვარი —  
ირგვლივ ყველაფერს მოხატავს,  
ზეცას სხივებით გასარკავს,  
მინას კი აქცევს ნოხად.

ხის ტოტებს, როგორც ჩიტები,  
შეასხდნენ თოთო კვირტები,  
აყვავდნენ იასამნები,  
აღუბლები და ტიტები...

მამულო, საგაზაფხულოდ,  
ო, რა საყვარლად ირთვები!

ნაკადული  
პარ  
პატარა

ნაკადული ვარ პატარა,  
ვრწყავ ნერგებსა და ჩითილებს,  
არავინ დამიზიანოთ,  
თორემ საბრალოდ ვიტყვებ!

მოვდივარ ჩუმი ღუდუნით,  
ხრიოკებს ვაქცევ ბაღადა,  
ნერგებს ვზრდი დიდრონ ხეებად,  
რომ იშრილონ ლაღადა;

რომ გაუმკლავდნენ გრიგალებს,  
იმღერონ ხმით საამუროთ,  
დაიცვან ჩვენი მთა-ბარი, —  
ჩვენი კეკლუცი მამული.

ხან ლაღად გამაეფს რაკრაკი,  
ხან ჩუმი სევდით მოვდივარ...  
რა ვქნა, ეს შემატიება,  
დიდი მდინარე როდი ვარ!

სანამ ვარ, ნერგებს ვეკუთვნი,  
მათი გაზრდით მსურს ვილხინო.  
ისედაც კოხტა მიდამო,  
უფრო ლამაზი ვიხილო.

მოვდივარ მთლად გულანკარა,  
დაუოკებელ სურვილით,  
პატარა, თოთო მცენარეთ  
შინდა მოვუკლა წყურვილი!

ნაკადული ვარ პატარა,  
ვრწყავ ნერგებსა და ჩითილებს,  
არავინ დამიზიანოთ,  
თორემ საბრალოდ ვიტყვებ!

ბიჭს სოფელში წასვლა ძალიან  
უხაროდა ხოლმე, თუნდაც იმიტომ,  
რომ იქ არავინ ეკითხებოდა, გაკვეთი-  
ლები ისწავლე თუ არაო?

სოფელში ბავშვებს სათამაშოდ მუ-  
დამ გიგლა იწვევდა. დღეში ორჯერ-  
სამჯერ ჩადიოდა მდინარეზე, — თევ-  
ზაობაც უყვარდა და ცურვაც.

ახლა ფეხბურთი?  
ბურთი თვითონ ჩამოიტანა, დიდი  
ბურთი! ისეთი, როგორც უმაღლესი  
ლიგის ფეხბურთელებს აქვთ.

პირველ ორ-სამ დღეს ბიჭები ყვე-  
ლგან გაჰყვნენ, მთელი უბნის ბავშ-  
ვები მასთან გროვდებოდნენ. რა თა-  
მამსაც გიგლა მოისურვებდა, იმას  
თამაშობდნენ, სტუმარია და როგორ  
ვაწყენინებთო.

მეოთხე დღეს კი, უკაცრავად!

ბავშვები აღარ ჩანდნენ. მერე თვი-  
თონ გიგლამ მიაკითხა იქვე მეზობლად  
მცხოვრებ ორ ბიჭს. ისინი ბაღში  
იყვნენ, ბარავდნენ. გიგლა შორიახლო  
ჩაცუცქდა, ერთხანს უცქირა. პატარა  
მბარავებმა კარგა ბლომად მიწა გა-  
დააბრუნეს. გიგლამაც რამდენჯერმე  
გადაინაცვლა წინ.

ლაპარაკობდა.

მის სკოლაში რაც რამ მომხდარა  
კარგი თუ ცუდი, ყველაფერი უამბო  
ბიჭებს. ბევრი რამ სასაცილო იყო,  
ისინიც იცინოდნენ, მაგრამ ბარვას  
არ ეშვებოდნენ. ბოლოს გიგლამ, თა-  
ვისი ამბების მოყოლა რომ დაამთავ-  
რა, ბიჭებს ჰკითხა:

— როდის მორჩებით ბარვას?

— ასე, საღამოს.

— უჰ, მთელი დღე ეგ ბარები უნ-

და გეკავოთ ხელში?

— ჰო, — უპასუხა ერთმა.

გიგლა ჩაფიქრდა.

შემდეგ იკითხა:

— მეც რომ მოგეხმაროთ, მაშინ  
ხომ უფრო ადრე დამთავრდება?

— მაშინ კი.

— აბა, მომეცით ბარი! მერე სათა-  
მამოდ დრო გვექნება.

ბიჭებს გაუხარდათ.

ხელად მოუბრუნინეს ბარი.

გიგლა გვერდში ამოუდგა ტოლებს.  
მშვენივრად მოიმარჯვა ბარი, მომარ-  
ჯება მომარჯვება, მერე ისიც კი წა-  
მოიძახა: რა კარგი საბარავი მიწა ყო-  
ფილოა.

— ჩვენც ამიტომ ვებქარებით ამის  
მთავებას, თორემ ხვალ და ზეგ ისე  
გამოიგვალბება, რომ მიწას ბარს ვე-  
ლარ დავაკარებთ.

გიგლა დაიმედდა, ხვალ სამუშაო  
აღარ გვექნება და მთელი დღე ვითა-  
მამებთო.

დილით, ადგა თუ არა, ხელ-პირი  
დაიბანა, საუზმე არც კი გახსენებია,  
ისევ იმ ბიჭებთან გაიქცა, გუშინ რომ  
წახმარა.

აი, საკვირველება!

ახლა ისინი ვენახის მწკრივებში  
დახვდნენ ჩამდგარი, გუშინ რომ ბა-  
რები ეკავათ ხელში, დღეს პრიალა  
თხები მოემარჯვებინათ. სათამაშოდ  
წამოდიოთ, ველარ გაბედა ამის თქმა.  
იყო, იყო იქ ერთხანს, ბოლოს მოს-  
წყინდა უსაქმოდ დგომა, შინ წავიდა  
და მია გიგოს უთხრა:

— ტალავერში მიწა დასაბარავი  
თუ დასათონხი?

— ვბარავ ხოლმე.

— მაშინ დავიწყებ ბარვას.

— ეგ რა კარგი რამ ვიფიქრია. მო-  
დი, მეც შენთან წამოვალ და ერთად  
ვიმუშაოთ!

და ბიძა-ძმისწული საქმეს შეუდგ-  
ნენ.

ახლა კი მართლა კაცად იგრძნო თა-  
ვი გიგლამ.







ნორა ჯორჯაძის მხარე № 4

**მზა**  
**დასაწყობი**

ასეა და უნდა დამერწმუნოთ: არასოდეს არ უხარია მილიციას, როცა მოულოდნელად დაურეკავენ — ამა და ამ ადგილას ესა და ეს დანაშაული მოხდა, იჩქარეთ, მიხედეთო.

მით უფრო საწყენია, როცა დამნაშავე არასრულწლოვანი აღმოჩნდება. მოზარდი, რომელიც რატომღაც ასცდა სწორ გზას და უფსკრულისაკენ დაექანა.

მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაულის წყარო სხვადასხვა სახისაა. უფრო ხშირად რამდენიმე მიზეზი, მიზეზთა კომპლექსია ეს წყარო. მათ შორის, ჩვეულებრივ, ოჯახურ აღზრდაში დაშვებულ შეცდომებს გამოიპყობენ, რაც უდავოდ ახლოა ტეშმარიტებისათვის.

მე წავიკითხე „პიონერის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი ლალი დ.-ს, აგრეთვე თბილისელი დიასახლისის ლამარა ყიფიანის წერილები და გადავწყვიტე გამოვხმაურებოდი მათ.

მე თვითონ ვარ მოწმე (და არაერთგზის). დანაშაულს ხშირად მშობლების მიერ გათამამებული შვილი ჩადის ხოლმე.

აბა, თვალი მიაღვენეთ: ბიჭს დეფიციტური ფირფიტა შესთავაზეს — „სულ რაღაც“ 25 მანეთად. მამას ვერ გაუბედა, ისევ დედას სთხოვა. დედამ დაუთმო და თანხა მისცა.

მერე ჯინსის უცხოური შარვალი მოისურვა ბიჭმა. აქაც დაუთმო მოსიყვარულე დედამ — თავისი დანაზოგით უყიდა შარვალი.

ახლა ველვეტის კოსტიუმი შემოვიდა მოღვაწეში. დიასახლისს არ აღმოაჩნდა სამყოფი ფული. დედა-შვილი შინ კარგ გუნებაზე მოსულ მამას დაუტკბა და ოჯახის უფროსმა დიდსულოვნად გაიღო საჭირო თანხა ახალაღებული ხელფასიდან.

მაგრამ მერე, დედისერთამ „დუბლიონკაც“ რომ მოისურვა, მამა გან-

რისხდა და მაგიდა კინლამ ჩამატვრია მუშტით — ამდენი ფული სადა მაქვსო! მაგრამ გვიანდა იყო: ყმაწვილს ბიჭებში თავი მოჰქონდა, რაც ძინდა, მშობლებიც იმას მისრულებენო, და ახლა როგორღა დაეხია უკან, რას იტყოდნენ „ჩადუბლიონკებული“ ამხანაგები?

ჰოდა, ის იყო, მასავით „დაჩაგრულ“ თანატოლს მოეთათბირა და ერთ ღამეს მეზობლის ბინაში შეიპარნენ...

ეს ამბავი თბილისელ ჯ. რ.-სა და მის მეგობარ კ. ჩ.-ს გადახდათ თავს. ისინი, რა თქმა უნდა, დაისაჯნენ.

მაგრამ ხომ შეიძლება, მშობლები თავიდანვე წინ აღდგომოდნენ ძვირადღირებულ უცხოურ ნივთებზე შეყვარებულ შვილს, რომელიც ოდნავაც არ დაფიქრებულა ოჯახის შესაძლებლობებზე? ვითომ რა მოხდებოდა, ის 25-მანეთიანი ფირფიტა რომ არ შეეძინათ, ან იმ უცხოური ჯინსის შარვლის ნაცვლად ატელიეში კონტაქტ შეეკრიბილი თბილისური შარვალი (სულაც მოსწავლის ფორმა!) ჩაეცმიათ ბიჭისთვის?

...შემეძლო მომთხრობო თქვენთვის სხვა შემთხვევებიც... ვთქვათ, როგორ წაუბიძგა დანაშაულისაკენ მოსწავლე გოგონას 1500 მანეთად ღირებული (ხელზე, რა თქმა უნდა!) „ლაიკის“ შეძენის სურვილმა — მეცხრეკლასელმა შ. ნ.-მა მანქანის გატაცებაში მიიღო მონაწილეობა. ჩვენ დავადგინეთ, რომ ამ გოგონამაც იგივე გზა გაიარა დანაშაულისაკენ, რომელიც ზემოხსენებულმა ბიჭებმა განვლეს.

მამასადამე, ეტყობა, ამაზე სერიოზული დაფიქრება გვმართებს: დანაშაულის არიდება ხომ უფრო ადვილია, ვიდრე დამნაშავეს გამოსწორება!

ნორა ჯორჯაძის,

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი, კაპიტანი.

**შვილები**  
**მეთანხმები**

ჟურნალ „პიონერში“ გამართული დისკუსია „თქვენი საოჯახო ბიუჯეტი“ ნამდვილად საჭირობოტოტო და მტკივნეულ პრობლემას ეხება.

ა. მაკარენკო ამბობდა: „ბავშვების აღზრდა ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია. ჩვენი ბავშვები ჩვენი ქვეყნის მომავალი მამე-

ბი და დედებია. ისინიც აღზრდიან თავიანთ ბავშვებს. ჩვენი ბავშვები უნდა გაიზარდონ საუცხოო მოქალაქეებად, კარგ მამებად და დედაებად.

წესიერი აღზრდა — ჩვენი ბედნიერი მოხუცებულობაა, ცუდი აღზრდა — ჩვენი მომავალი უბედურებაა, ჩვენი ცრემლებია, ჩვენი დანაშაულია სხვა ადამიანების წინაშე, მთელი ქვეყნის წინაშე“.

ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ შვილებს სიყვარული საკმარისია მათი სწორი აღზრდისათვის. ცხადია, ბავშვების აღზრდაში მათდამი სიყვარულს უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არის შემთხვევები, როცა სწორედ მშობლების ბრმა სიყვარული დამლუპველ გავლენას ახდენს მოზარდის განვითარებასა და ბედნიერებაზე.

„დედა ენაცვალოს ჩემს თინიკოს, გულს როგორ დავწყვიტე“, — თქვა ერთმა ჩემმა ნაცნობმა და თავის მეცხრეკლასელ გოგონას „დუბლიონკა“ უყიდა. ამ ბოლო ხანს „ჩაცმამ“ გაიტაცა მოსწავლეთა უმრავლესობა. ჭაბუკები და ქალიშვილები ფიქრობენ, რომ კარგად აცვია მხოლოდ მას. ვინც ძვირფას ტანსაცმელს ატარებს. მოზარდებს სურთ შეიძინონ უცხოური პალტო, შარვალი, ფეხსაცმელი. ამაში ჩვენს სამამულო მრეწველობასაც მიუძღვის ბრალი. იგი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ძვირფასი ქსოვილებისაგან იკერება ულამაზო, უხარისხო ნაწარმი. და მშობლებიც იძულებული არიან შეიძინონ უცხოური, ძვირადღირებული, მაგრამ კონტა და ლამაზი ტანსაცმელი თუ ნივთები. მაგრამ ბევრ ოჯახს არა აქვს ამის საშუალება, ვერ აკმაყოფილებს მოზარდის გადაჭარბებულ მოთხოვნებს.

მე საქართველოს კვ ცკ გამომცემლობის ოფსეტური ბეჭდვის საამქროში ვმუშაობ, მუშა ვახლავართ. ჩემი შემოსავალი თვეში 350 მანეთს შეადგენს, მეუღლისა კი — ასს. ასე რომ, ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა შვილებს მოდურად ჩავაცვათ, ძვირფას უცხოურ ტანსაცმელში გამოვაცხოთ — თუკი ამას ვისურვებთ. ჩემი აზრით, უმჯობესია შევიძინოთ ან შევიკეროთ თუნდაც იაფფასიანი, მაგრამ გემოვნებით შეკერილი კოსტიუმი, კაბა ან პალტო. ჩაკიცვათ ლამაზად — ნიშნავს ჩაკიცვათ მოდურად, მაგრამ უბრალოდ და სადად. მოდას არ უნდა გადავყვეთ.

მიხარია, რომ ჩემი შვილებიც ამ აზრისანი არიან.

ზოთა დალაქივილი



**ვის სჯობდა**

**კეკელიძე**

**ხეივანი!**

არ ვიცი, ჩემი აზრი რამდენად საინტერესო იქნება თქვენი დისკუსიისათვის, მაგრამ როდესაც საუბარი მოზარდთა ჩაცმა-დარბაზის საკითხს შეეხებო, ვიგრძენი, რომ როგორც დედას და ბავშვთა ატელიეს თანამშრომელს, უფლება მქონდა, ეს წერილი მომეწერა.

ჩვენი ატელიე ფართო პროფილისაა — დედებსა და სხვადასხვა ასაკის ბავშვებს ემსახურება. ატელიეს ადმინისტრაციას მკერავებსა და გამომჭრელებს პერიოდულად გვაგზავნიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად — ტანსაცმლის თანამედროვე მოდელების, ცალკეული დეტალების ასათვისებლად, მაგრამ მოდელების დიდი არჩევანი ხშირად როდი გვაქვს და ეს უმთავრესად ქსოვილების ერთგვაროვნებისა და ნაკლებფექტურობის ბრალია.

ჩვენში არცთუ ისე იშვიათად გაიგონებთ, რომ ძალზე დაბალია სამშაშულო წარმოების ქსოვილების ღირებულება და ხარისხი, რომ ის არამც და არამც არ შეესაბამება თანამედროვე მომხმარებლის სადღეისო მოთხოვნებს.

ჩვენს კლიენტებს — დედებსა და შვილებს შორის ამ საკითხზე კონფლიქტი არცთუ იშვიათია.

ასაკით უმცროსი ბავშვებისათვის, როგორც წესი, დედები არჩევენ მოდელებს, ან ჩვენ მოგვმართავენ რჩევისათვის იმ შემთხვევაში, თუ თავად ვერაფერს შეარჩევენ.

უფროსკლასელებთან საკითხი უფრო მწვავედ დგას: უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემათ მათი ერთი, თითქოსდა, საერთო თვისება — ყველას ის კაბა და პერანგი მიაჩნია საუკეთესო შეკერილად, რომელიც რაც შეიძლება მეტად უახლოვდება ე. წ. „ფორმენის“ შეკერილობას.

არცთუ იშვიათად, უბრალოდ გვთხოვენ ხოლმე გოგონები, რომელიმე უცხოური ფირმის იარაღი ან ნიშანი დავაკეროთ მათთვის განკუთვნილ. ჩვენს მიერ შეკერილ საკმაოდ მოდურ ტანსაცმელსაც კი ამგვარი თხოვნა, უხერხულობის და სხვისი მოტყუების თუ არა, თავის მოტყუების შეგრძნებას უთუოდ ბადებს.

ვითომ რამეს გვმატებს ამგვარი,

უმართებულო, ამპარტავნული ტყუილი?!

ამას წინათ რომელიმე სკოლის პედაგოგმა ერთნაირი ნაჭრისა და მოდელის ტანსაცმელი შეგვიკეთა ორი დაწყებითი კლასისათვის. ტანსაცმელი სკოლის გარეშე, დასვენების დღეებში გამართულ საერთოსაკლასო ღონისძიებებზე ჩასაცმელად გაეთვალისწინებინათ. ვერ ვიტყვი, ამ პედაგოგმა საუკეთესო გამოსავალი იპოვნა-მეთქი, მაგრამ იგი თავისებურად მართალი იყო, რადგან ბავშვებში სხვისა „უკეთესი ტანსაცმლის“ დანახვით გამოწვეული „უთანასწორობის“ გრძობის მოსპობას ცდილობდა.

რა თქმა უნდა, კეთილი სიტყვარც ჩვენი სამამულო წარმოების მიმართ ითქმის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მაინც მშობლები სცოდავენ. მეტადრე მაშინ, როცა არასწორად წარმართავენ შვილის აზროვნებას, აჩვენებენ უცხოური „ნაჭრებით“ თავის მოწონებას და აკარგავენ მათ ადამიანის უმთავრეს სამკაულს — უბრალოებასა და სისადავეს.

ინო ფანიასვილი,  
თბილისის დედათა და ბავშვთა ატელიეს ტანსაცმლის გამომკრელი.

**ჩვენი  
კაპიტალიზა**

**იუნიორი**

— დედა, რატომ მაქვს ორი თვალი, ორი ყური, ორი ხელი, ორი ფეხი, ენა და ცხვირი კი — ერთი?

— იმიტომ, ჩემო გოგონა, რომ ბევრს ხელაღდე, ბევრი გაიგო, ბევრი გააკეთო, მაგრამ ცოტა ილაპარაკო და სადაც საჭირო არ არის, იქ ცხვირი არ ჩაყო. აი, ამიტომ გაქვს ერთი ენა და ერთი ცხვირი.

რუსულიდან თარგმნა  
გულიკო მავლიძემ,  
თეთრი წყაროს ქართული  
საშუალო სკოლა, V კლასი.

**ვეღრეაბა**

შენი ჭირიმე, ჰა, ცაო  
იქნება ცოტა გვაცალო,  
ისე მოვუვლით ბალ-ვენახს,  
არც დავიღლებით არცაო;

სულ რომ წვიმები გვაპკურე,  
აცივდა აღარ დაცხაო;  
აბა გახედე ველ-მინდვრებს,  
ხელავე? — დამბალა ქვაცაო,

დრო არის ყანებს მივხედოთ,  
დავიწყოთ თესვა-ხვნაცაო  
მზე გვინდა, წვიმა გვაკმარე, —  
მეც გეხვენები, სხვაცაო.

მარინა გრძელიძე,  
კასპის მე-8 საშუალო  
სკოლა, V კლასი.



შ ვ რ მ ა ს ტ ა ნ ე

ბაბაურ  
ბაბრიასვილი,  
იულისოს  
საშუალო  
სკოლა,  
VI კლასი.

კ. შარტასის სახ. საჯ. სსრ  
საბავშვო ფილმის სტუდია  
გამლირის ქუჩა



ჯადოქარ ფეფიკოს ოინი

ციცქნა გოგო ლოგინიდან უთენია წამოფრთხილდა და მამინვე ერთი ამბავი ატეხა: პერანგისამარა დარბოდა ოთახებში, აქ სკამს გამოედო, იქ მამიკოს უშველებელ ფეხსაცმელს გაჰკრა ფეხი, მაგიდიდან ლანგარი გადმოავდო. „რა მოხდა? რა ამბავია ჩვენს თავს?“ — წამოიძახეს დედამ და მამამ, ლოგინიდან წამოცვივდნენ, ხალათები გადაიცვეს და ციცქნა გოგოს დასაჭერად გამოუდგნენ. ციცქნა გოგო მწიარული ტკარტლით დარბოდა ოთახიდან ოთახში. ხან კარადის უკან დაიმალებოდა, ხან საწოლქვეშ და იქიდან იძახდა: „კუ-კუ, აბა დამიჭირეთ!“ როდესაც ბუნარში დააბირა შეძრომა, მამამ პერანგის კალთაზე სტაცა ხელი. „რა იყო, ჭერი რომ კინალამ თავზე დავგანგრეთ?“ — უსაყვედურა დედამ. „დღეს ჩემი დღეობაა!.. დღეს ჩემი დღეობაა!“ მამიკოს ხელიდან დაუსხლტა და ასკინილა ჩამოუარა ციცქნა გოგომ. „უყურე ამ ანტაჯანას!“ — გაეცინა მამას. „ხუთი წლის გოგო ხარ და ასეთი ეშმაკუნა?“ — გაევირვებისაგან ხელები ვამალა დედამ.

ციცქნა გოგომ სამზარეულოში შეიხედა. მადიდებე, კარადამი, მაცივარში ვერ ეტეოდა ტებილეული ლიმონათი, ხილი.

„გმადლობ, დედიკო, გმადლობ. მამიკო!“ — ციცქნა გოგომ დედას და მამას აკოცა და თავის ოთახში შეირბინა. ზღურბლზე რომ გადადიოდა, ვიღაცამ ფეხი დაუდო. ციცქნა გოგო იატაკზე გაიშოტა და ცხვირი იტყინა. თვალზე ცრემლი მოადგა, მაგრამ დღეს მისი დღეობა იყო და ზომ არ აღრიალდებოდა! ხედავს, ერთი ცხვირმეჭეჭა დედაბერი სიცილისაგან იფხრიწება, ციცქნა გოგო აიშრიზა, მაგრამ დედაბერი სწრაფად ჩაფოფხდა კოლოფში, სხვა მსგავს კოლოფებს შორის რომ იდო.

„ბოროტო დედაბერო, ტებილეულზე არ დაგბატყებ!“ — დაემუქრა ციცქნა გოგო და კოლოფებდან სათამაშოების ამოლაგებას შეუდგა. ამიერიდან სათამაშოების კარადამი დასახლდა ცხრათავიანი ჭუჭა დევი, აკვარიუმის ვეშაპუნა, მომღერალი ბატი, კატა ციციუნია და თითისტოლა ცუგა. ციცქნა გოგომ ყოველ სათამაშოს თავისი ადგილი მიუჩინა. ბოლოს ჭერი იმ კოლოფზე მიდგა, რომელშიც დედაბერი ჩადგრა. კო-



ბიბიბი  
ბიბიბი  
ბი  
ბიბი  
ბიბიბიბიბი  
ბიბიბიბი  
ფიფიფი  
ფიფიფიფი

ზღაპარი

ლოფში მუყაოს ჭრელი სახლი იდგა ამ სახლში ცხოვრობდა ცნობილი ჯადოქარი ფეფიკო. ციცქნა გოგოს თუმცა გადატყაული ცხვირი ეწვო-

და, ბოროტი დედაბრის სახლიც სათამაშოების კარადამი შეინახა... იმ დღეს ისე გაერთო, ვერც კი გაიფო. რა სწრაფად გაირბინა დრომ. ამასობაში სადილობაც მოახლოვდა. ციცქნა გოგომ სუფრა ვამარა და კარადის ახალი მინადარი. სათამაშოები მოიწვია. მხოლოდ ჯადოქარ ფეფიკოსათვის არათფერი უთქვამს — ნაწყენი იყო. სადილზე უცხო სტუმარიც მობრძანდა — ზოობარკის სამლო, სახელად გოგოტა. ეს იყო ერთი ზარმაცი, მაგრამ კეთილი ბიჭი. აქაოდა, პირველკლასელი ვარო, გოგოტას „დედა ენა“ მუდამ ჩიბით დაჰქონდა.

მეგობრებს დროსტარება მოეწონათ. სპილო გოგოტამ თქვა, „დედა ენის“ კითხვა უფრო მსიამოვნებსო, რაც სულ ტყუილი იყო: მას ჭამა ერჩივნა. ახლაც სუფრის ბოლოს იჯდა, მკერდზე თეთრი ხელსახოცი ეფინა და გემოზე მიირთმევდა: სამი კალათა თაღგამი ამოთავა, ერთი სამფუთიანი ტორტიც ზედ მიყაოლ, თუ არ ჩავთვლით აუარებელ ქიშკისა და მოხალულ თხილს...

ამ დროს ჯადოქარმა ფეფიკომ გადმოიხედა თავისი სახლის ფანჯრიდან და დასჩხავლა: „აბა, აბა, რამდენს იცინით? ახლავე იტირეთ!“ ასეთი ახირებული კინზე იყო. სიცილს ტირილი ერჩივნა! საბედნიეროდ, მისი ხმა არავის გაუფონია. თუმცა, ვინ დაუჭერებდა... იფიქრა, იფიქრა, ნეტავი ამით რით ვაწყენინო? ჩუმად მიეპარა და ვეშაპუნას კუდზე დაეჯაჯგურა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ახლა სპილო გოგოტას მიეპარა და ბეჭზე უჩქმიტა. გოგოტა ეგონა ბუჩი დამაქდაო, ხორთუმით ლიმონათი გადაისხა და ჯადოქარი ფეფიკო გაწუწა. ძალიან გამწარდა ჯადოქარი, მეჭეჭიანი ცხვირი მრისხანედ აათამთამა. სპილო გოგოტა ბევრი ებოდნო, მაგრამ ჯადოქარი ფეფიკო ოთახიდან მუქარით გავარდა...

მეორე დილას ციცქნა გოგო მზემ გამოაღვიდა.

— რანიირი ხარ, რა! — გაეხუტა ჭყეტულა მზეს, მაგრამ ამ დროს ფანჯარაში მეზობლის ბეკეკა დაინახა. უკანა ფეხებზე შემდგარიყო და ციცქნა გოგოს ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა, თან ტუჩებს აკმაკუნებდა.

— ბეკეკო, ბეკეკო! — ციცქნა გოგომ ფანჯარა ფართოდ გამოაღო.

— პე!.. ეს რა ენახე!.. პე! — აბეტელდა ბეკეკა.





თურმე სპილო გოგიტა კომშის ჩრდილში კუნძზე ჩამოქდარიყო. მუხლებზე ანბანი დაედო — თუქცა წიგნი უკუღმა ეჭირა, ირწმუნებოდა, ასო ძილს ვსწავლობო. იმდენი იბახა „ძილ-ძილი, ძილ-ძილი“, რომ პოლოს და ბოლოს ძილი მოერია და თავის კანტური დაიწყო. სულელმა ზეკეკამ იფიქრა მიჩქენსო და საბრძოლველად მოემზადა. ამ დროს მოვიანდა ჯადოქარი ფეფიკო, „ღეღა ენას“ სული შეუბერა და წიგნიდან ჩიტებივით ამოფრთხილდა ყველა ასო ანიდან ჰაემდე... ზარმაცმა სპილო გოგიტამ თვალების მოფხვინეტაც ვერ მოასწრო. ფაფუ! მის წიგნში თეთრი გვერდებოდა დარჩა. თუქცა ერთ გვერდზე დახატულ ალუჩას ასო ანი გამობმობდა კაუჭით და წიგნიდან ვერ ამომძვრალიყო.

ციცქნა გოგომ სწრაფად ჩაიცივა და ენოში გავარდა.

სპილო გოგიტა კომშის ქვეშ იჯდა და ხმამალლა ზღუქუნებდა, თან ხორთუმით თვალებს ისრესდა. მეგობრები გარს შემოხვეოდნენ და ამშვიდებდნენ.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა გოგიტა ციცქნა გოგომ. — ნახავ, შენი ანბანი თუ არ დაგებრუნო... ოღონდ აღარ იზარმაცო!

**გამაცი რწყილი**

ჯადოქარი ფეფიკო გულადი დედაბერი იყო.

ციცქნა გოგომ კარგად იცოდა, რა ბოროტ მტერთან ჰქონდა საქმე, და მეგობრებს ურჩია, ჯადოქარ ფეფიკოს ომი გამოვუცხადოთო. ყველამ იცის, რა მამაცი მეგობრები ჰყავს ციცქნა გოგოს, მაგრამ ახლა კი შეკრთნენ: ჯადოქარ ფეფიკოსთან პირისპირ შერკინება ადვილი არ იყო.

ბოლოს კატა ციცამ ასწია თათი: — მიაუ, მე ვიცნობ ერთ ჯმირს, მას ქვეყანაზე ვერავინ მოერევა!

კატა ციცამ ფუმფულა კუდი აპრიხა... ზედ კუდის წვერზე მეომარი რწყილი წამოსკუებულიყო. უბრალო რწყილი როდი იყო, ორი სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული.

— მამაციო მეომარო! — მიმართა რწყილს ციცქნა გოგომ. — შენი შიშით ცაზე ფრინველს ვერ გაუჭაქანია და ძირს ჭიანჭველას. ჯადოქარმა ფეფიკომ საბრალო სპილო გოგიტა დაგვიჩაგრა. იქნებ შენ დაგვეხმარო!

— როგორ ვაბედა?! — ისე დააღრჭიალა რწყილმა კბილები, ციცქნა გოგოსაც კი გააყრუოლა. — პატარების დაჩაგვრას არავის შევარჩენ!

ჩქარა მომართვით ტანტრევიანი, სასტიკად უნდა დავსაჯო თავხედი!

ციცქნა გოგომ ჯიბიდან თხილის ნაჭუჭი ამოიღო. რწყილი ნაჭუჭში ჩახტა და ყველანი ერთად გაეშურნენ ჯადოქარ ფეფიკოსაკენ, რომელიც ასეთ მოულოდნელ თავდასხმას არ მოელოდა.

— ქალბატონო, — მიმართა ციცქნა გოგომ, — გთხოვთ გოგიტას დაუბრუნოთ ანბანი, დღეს ძილი უნდა ესწავლა, თქვენ კი ზელი შეუღლოთ.

— ჰა-ჰა, რასა ბრძანებთ? — გადაიხარხარა ჯადოქარმა ფეფიკომ. — აქედან დამეკარგენით, თორემ შავ დღეს დაგაყრით!

— მაშ ეგრე, არა! — განრიხდა მეომარი რწყილი, არწივივით მოავლო ბრძოლის ველს თვალი და ხმალი შეათამაშა. — მე განთქმული სარდალი ვარ! ხუთას ორმოცდაათი ომი გადავიხადე, შენისთანები ლუქმაც არ მეყოფა!

ბებერი ჯადოქარი ფეფიკო ყურნაკლული იყო, თან თვალბუც ცუხად იხედებოდა, ვერც რწყილი შეამჩნია და ვერც მისი ხმა გაიგონა.

რწყილმა არც აცია, არც აცხელა. პირდაპირ ცხვირში ეძგერა.

— ვაი, ვაი, ვაი! — ავიდობა ბებერი ჯადოქარი, ციცხს დაავლო ხელი, შეჭდა და გაფრინდა. მამაცი მეომარიც უკან გამოუდგა. გამწარებულმა ფეფიკომ დედამიწას თხუთმეტჯერ შემოუფრინა. ამასობაში ორივე დღილა. ღონეგამოლეული რწყილა ოკეანის ტალღებში ჩავარდა. იმ ადგილას ტალღები ისე აზვირთდა, იპონიისა და კალიფორნიის ნაპირები ერთიანად წალეკა, სამას ხუთი ხომალდი გადააბრუნა და ათას ხუთასი წყალქვეშა ნავი აბურთავა. იქ, სადაც რწყილი დაეცა, კუნძული ამოიზარდა, მალე იგი ქოქოსის პალმებით დაიფარა, ზედ კი პოლინეზიელთა ერთი ტომი დასახლდა.

**მეგობრები გამს აგებენ**

— გემი უნდა ავაგოთ! — განაცხადა ციცქნა გოგომ. — სადმე ზღვის გაღმა ქვეყნებში მოვებნით ჯადოქარ ფეფიკოს.

მეგობრები უმაღლე საქმეს შეუდგნენ.

გემის აგება, მოგესხენებათ, ადვილი საქმეა: საჭიროა ძველი გაზეთები, წებო და მაკრატელი. ვეშაპუნა მაკრატელა ბოლოთი ქალაღს ჭრიდა, სპილო ხორთუმით წებოს უსვამდა, ჯუჯა დევი აწებებდა, ბატო, ცუგა და კაცა ციცაც, შეელოდნენ მეგობრებს. გაზეთის გემს სხვა უპირ-

ატესობაც ჰქონდა: თუ მოგზაობის დროს ვინმე მოიწყენდა, მის კედლებზე ნაირნაირი ამბების წაკითხვა და ნახატების დათვალიერება შეეძლო.

ჭრა-წებვა რომ მოათავეს, ახლა ძრავა გაახსენდათ.

— დავაყენოთ აფრები, — შესთავაზა მომღერალმა ბატმა. — გემბანზე დავდგები, ფრთებს გავშლი და აფრაც მზად იქნება.

— არა, ერთზე დამაწინეთ, ბოლოს წყალში ჩაყუფ და ამ ჩვეს გემს ჩიტივით გავაფრენ! — განაცხადა ვეშაპუნამ.

ცხრათავიან დევს რვა სულელი და ერთი ჰეკიანი თავი ჰქონდა. ჰეკიანი თავი აქამდე გემრიელად ზერინავდა, ახლა გამოეღვიძა, „დიდი ატომი“ რად დაგავიწყდათო, წაიბლუქუნა და ისევ ძილს მისცა თავი.

დიდ ატომს ალბათ თქვენ არ იცნობთ, არა?

ციცქნა გოგოს მამა ფიზიკის ინსტიტუტში მუშაობს და ერთხელ შემთხვევით ჯიბეში უზარმაზარი ატომი ჩარჩა. საუცხოო სანახავი იყო. მისი პროტონი და ნეიტრონი მზესავით კაშაშაშებდა. დიდგულოვანი ადამიანივით მასაც გარს ეხვია აუარებელი პირფერა, ქლესა ელექტრონი, რომელნიც სულ ირგვლივ უტრიალებდნენ და ათასნაირ სასიამოვნო ამბებს ჩასჩურჩულებდნენ... ისე კი, არ იყო ურიგო ყმაწვილი. ცხოვრობდა თავისთვის საწერი მაგიდის უჯრის შორეულ, ბნელ კუნჭულში. არავის არაფერს უშავებდა, თუმცა ისეთი ღონე ჰქონდა, რომ მოენდომებინა, წამში სახლსაც კი აიტაცებდა.

ციცქნა გოგომ უჯრა გამოაწია.

— აფჩი! — ცხვირი დააცემინა დიდმა ატომმა. — საიდან უბერავს?.. რა სასიამოვნო სურდო შემეყარა!

არ გაგიკვირდეთ: დიდ ატომს ძალიან უხარია, სურდო რომ შეეყრება. სიცხე თითქმის მილიონ გრადუსამდე აუწევს ხოლმე და ისეა გავარვარებული, თერმომეტრი ვერ უძლებს.

— ბატონო ატომო! — მიმართა ციცქნა გოგომ. — გადმობრძანდი ჩვენს გემზე, ერთად გავცუროთ შორეული ქვეყნებისაკენ!

— აფჩი!.. უჰ!.. — ყოჩაღმა ატომმა ერთხელ კიდევ დააცემინა ცხვირი, სკუპ, სკუპ — უჯრიდან გადმოსკუბდა და ძლივლივობით შეეტია კაიუტაში. როგორც კი კაიუტის კარი შეგნიდან ჩაირახა, გემი ისე ათუხტუნდა, კინაღამ ლუზას მოწყდა.

დამავიწყდა მეთქვა: გემს ლუზა იამეგებული ჰქონდა წყლით სავსე





გობში. შიგ წყალი ონკანიდან ჩადიოდა და მეორე კიდიდან ჩანჩქერივით იღვრებოდა.

ციცქნა გოგომ კაპიტნის ერდოზე დაიკავა ადგილი. საჭე ცხრათავიანმა დევმა ჩაიგდო ხელში. მართალია, მეცხრე ჭკვიან თავს ეძინა, მაგრამ დანარჩენი რვა თავის ორ-ორ თვალს რა გამოეპარებოდა! ცუგა კაპიტნის თანაშემწედ დაინიშნა, ცალ თათზე ლუზა ჰქონდა ამოკაწრული, მეორეზე ეწერა: „ზღვა ჩემი სტიქიაა“. კატა ციცამ კამბუზში დაიღო ბინა. იცოდა, თევზის თავი მუდამ მისი წილი იქნებოდა... სპილო გოგიტა იუნგა გახდა. წონით ყველაზე მეტი იყო (ვეშაპუნას გარდა), ასაკით კი — ყველაზე პატარა. ბეჯითად მუშაობდა. ამასთან ზურგზე აკვარიუმი ედგა, რომელშიც ვეშაპუნა ცხოვრობდა. ჩვენი იუნგა სულ იმის შიშში იყო, აკვარიუმი ზღვაში არ გადამივარდეს და ვეშაპუნა არ დაგვეხრჩოსო... მომლერალი ბატი დინჯად, დარბაისლურად დასეირნობდა გემბანზე და ყველაფერზე იძახდა „ვახ, ვახო“.

ცაზე ღრუბლის ერთი ქულაც არ ჩანდა და კაპიტანმა ბრძანა:

— ამოსწიეთ ლუზა! წინ!

(ქინძისთავი, ანუ ლუზა, გობის სახელურზე იყო მიბმული).

დიდმა ატომმა ერთი-ორჯერ ცხვირი დააცემინა, „ეს რა შესანიშნავი სურლი შემიყარაო!“ — წამოიძახა, გავარდარდა და გემი გობის კიდისაკენ გააქანა. გემი თავბრუდამხვევი სისწრაფით გადაჰყვა ჩანჩქერს. მეგობრებმა გადასცურეს ჭორომიანი ნაკადული, რომელიც ეზოს ჰკვეთდა, მესერში გაძვრნენ და გზის გასწვრივ თხრილს მიჰყვნენ. მამაც მოგზაურებს გზადაგზა ყრია მუღით ესალმებოდნენ ბავშვები.

ორი დღის შემდეგ მეგობრებმა გაშლილი ზღვა დაინახეს...

**დიდი ომი**

დინ-დან-დონი, მსოფლიოში სახელგანთქმული დელფინი, დიდად მამაცი ვინმე იყო. იგი აკვარიუმის ვეშაპუნას ბიძაშვილად ერგებოდა. დიდი ხანი იყო, რაც ერთმანეთი არ ენახათ. სიყვარულით მოიკითხეს ნაცნობ-მეგობრები და ახლობლები. ვეშაპუნას აინტერესებდა, ჩემს არყოფნაში ზვიგენებთან ომი ხომ არ გადაგინდიათო...

— ზვიგენები დიდ ომს გვპირდებიან, — აცნობა დინ-დან-დონმა. — მეფე დიდთავას უბრძანებია, დელფინებს ჰკუთუნდა ვასწავლოთო...

ციცქნა გოგო ყურს უგდებდა მეგობრებს, თან ჭოგრიტ გარემოს უთვალთვალებდა. უცებ ლურჯ ჰორიზონტზე რალაც გამოჩნდა. იქ, სადაც ცა და ზღვა ერთდებოდა, სივრცე უთვალავ ფარფლს დაეფარა.

— ზვიგენები! — ერთხმად დაიღრიალა ჯუჯა დევის ცხრავე პირმა. მას ხომ თვრამეტი თვალი ჰქონდა და თვრამეტჯერ უკეთ ხედავდა.

ციცქნა გოგოს გულს შიში არ გაჰკარებია. კიკინები კაპიტნის ქულში შემალა და თავის ხის ხმაღს ხელი ზვიადად დაადო.

— მეგობრებო, დიდი ომი მოგველის და მზად იყავით!

— ჰო-ჰო-ჰო. რა ბრძოლა მოგველის! — ხელები მოიფშვინტა ჯუჯა დევმა, თან ზვიგენის კბილი არ მომწვდესო, ანძაზე აძვრა.

— მეც ბრძოლაში გადავეშვებოდი, მაგრამ აბა რა გიყო? — უთხრა კეთილშობილმა სპილო გოგიტამ ვეშაპუნას. — აკვარიუმის დადგმა მეშინია, ვითუ წყალში გადამივარდე და დაიხრჩო!

— აფ, აფ, ნუ გეშინიათ, ძმებო, მე აქა ვარ! — გემის ცხვირზე წამოსკუპდა ცუგა. იგი ცეროდენა იყო და ასანთის კოლოფში იძინებდა, მაგრამ სიმამაცით უზარმაზარ ბულდოგსაც არ დაუდებდა ტოლს.

ზვიგენთა ლაშქარს წინ დიდთავა მოუძლოდა. მის ზურგზე ჩადოქარი ფეფიკო მოკალათებულიყო. თურმე მეომარ რწყილს თავი რომ დააღწია და წყალში ჩავარდა, ცოცხიც დაუსველდა. სველი ცოცხით ფრენა კი შეუძლებელია. რა ექნა? მოუსვა მკლავი და გამოსცურა. ამერიკის ნაპირთან რომ მიცურდა, დიდთავას შეეჩეხა და ციცქნა გოგოსთან საომრად წააქეხა. ჰოდა, ახლა ვახარებული ჩადოქარი დიდთავას ზურგზე ყირას გადადიოდა, ზვიგენის ფარფლზე ცოცხის ტარს ლესავდა, თან „ეჰეჰეო!“ — გაჰკიოდა.

— ჰეი, კაპიტანო, — ამოსძახა ციცქნა გოგოს დიდთავამ. — ჩერ ის ვეშაპი გადმომიგდე, მერე რიგრიგობით შენი მეგობრები, ბოლოს კი შენც გადაგსანსლაგ!

— გაბედეთ და მოდით, ისე მაქვს

ხმალი ალესილი, რკინას მკვრივად ჰკრის! — უშიშრად შეეძინა ციცქნა გოგო.

— აბა, ჩემო მეომრებო, არ შემარცხვინოთ! — გოროზად ბრძანა დიდთავამ და ზვიგენთა არმია გემს მიესია.

ამ დროს წყლიდან დინ-დან-დონი ამოვარდა, ზედაპირზე კუდიტ დაერქო და დასჭეჭა:

— ოლოლო, მედგრად იყავით, ჩვენც აქა ვართ!

დინ-დან-დონს დელფინების არმიისათვის მოეხმო.


ზვიგენები და დელფინები თავდაუზოგავდ ეკვეთნენ ერთმანეთს. ზღვა ისე დულდა, თითქოს ცეცხლი შეუწთთიათო.

ციცქნა გოგომ კაპიტნის ხიდურთან ზარბაზანი დადგა და მტერს ბლის კურკები დაუშინა. ჩადოქარ ფეფიკოს ერთი კურკა პირდაპირ თვალში მოხვდა. სიბრაზისაგან გადაირია, გემბანზე ამოსვლა მოინდომა, მაგრამ ციცქნა გოგოს ვერცხლისფერი ხმლისა დაიხაც რომ შეეშინდა.

— დინ-დან-დონ! — გასძახა ციცქნა გოგომ. — მოდი, გამაჭენე!

დინ-დან-დონი მოცურდა, ციცქნა გოგო ამხედრდა და ასე შეიჭრა ზვიგენთა რიგებში. ვისაც მისი ხმალი მისწვდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. აირია მტრის რიგები. ციცქნა გოგოს ხმლის ელვარება თავგზას უბნევდა ზვიგენებს.

ამასობაში, როგორც ვთქვით, ჯუჯა დევი ანძაზე ეკიდა და ცხრავე პირით ისე ღრიალებდა, ყურთასმენა წაიღო, ამან მომლერალი ბატი გაანაწყენა — მისი „ვაახს!“ აღარავის ესმოდა. აკვარიუმის ვეშაპუნამ მთლად დაკარგა მოთმინება, წყალში ბოლოს ატყლამუნებდა და დარბაისელი სპილო გოგიტა ერთიანად გაწუწა. კატა ციცა ისე გათამამდა, სანტიმეტრნახევრიანი ზვიგენი დაითრია და ბრძოლა გაუმართა. მამაცთა შორის





უმამაცესი გახლდათ ჩვენი პაწია ცუგა, რა ვუყოთ, რომ ცეროდენა იყო! მართალია, მისი ყეფა ვერ ფარავდა საბრძოლო ყიყინას, მაგრამ, სამაგიეროდ, ბრძოლის დაწყებიათანვე ერთი ვაივაგლახი ატეხა, და-ცუნცულვებდა გემბანზე და კბილებს „ღრრ!“ — აღრქიალებდა. ზვიგენტა ხელმწიფე რომ გარს უვლიდა გემს და მეგობრების გულის გასახეთქად ყვიროდა, ათ დელფინს უბეები ამო-ვულურჯე და მალე თქვენი ჯერიც დადგებო — „აფ-აფ!“ — ეპასუხებოდა ცუგა. ბოლოს და ბოლოს პაწია ცუგამ ველარ მოითმინა, „აკუპო“ და გემბანიდან პირდაპირ ზვიგენტა ხელ-მწიფეს დაახტა თავზე. მას კი ტყუილად როდი ერქვა ეს სახელი, მის თავზე სა-შუალო ზომის აეროდრომი დაეტეოდა.

დიდთავას თავზე ცუგა ერთ საშინელ არსებას შეეფეთა და შეცბუნებული უნებურად უკან მიაწყდა. იმ არაებამაც უკან დაიხია.

— რანაირი კიბორჩხალა ხარ, ოთხფეხა, გაუპარსავი! — უთხრა უცნობმა.

— შენ თვითონ რანაირი ცუგა ხარ, არითმეტიკის მცოდნე ბულდოგოც კი ვერ დაგიტვლის ფეხებს?! — შეეპასუხა ცუგა.

— მე ცუგა კი არა, კიბორჩხალა ვარ!

— აქ რას აკეთებ?

— ეს ჩემი გემია და საითაც მი-და, იქით მივცურავ, — განაცხადა სულელმა კიბორჩხალამ.

— აი, ის დედაბერი მეკობრეა და წაგართმევს, — ანიშნა ცუგამ. — მიდი, ფეხის გულზე შეუღლიტინე და გაიქცევა.


ჯაღოქარს არც ცუგა შეუნიშნავს, არც კიბორჩხალა. კიბორჩხალამ კი იარა უკან-უკან ჩოჩვით, იარა... საათ-ში ერთ მეტრს გადიოდა... მიაღწია ჯაღოქარ ფეფიკომდე და ზედ ფეხის გულზე თავისი მარწუხებით ჩააფ-რინდა.

— ვაი-ვაი! — შეხტა ფეფიკო და წყალში ტყაპანი მოადინა.


მამაცი ცუგა კი წინ გაცუნცულდა და უძირო უფსკრულის პირას შე-ჩერდა. უფსკრული სულ თეთრი შუ-ბებით იყო სავსე: ეს ზვიგენტის პირი გახლდათ. ცუგა საშინელ დღეში ჩავარდებოდა, დიდ-თავა ზვიგენტს რომ თავის შუბლზე მოხეტიალე მტე-რი შეემჩნია, მაგრამ დელ-ფინებთან ჩხუბში იყო გა-რთული.

უცბად წყლიდან დინ-დან-დონი ამოხტა და დიდ-თავას წინ აულზე წამოი-მართა. ზედ ციცქნა გოგო იჯდა ხმალამართული.

— დამაცადე, დინ-დან-დონ! დამაცადე, ციცქნა გოგო! — წაისისინა გააფ-თრებულმა დიდთავამ. — თქვენ მაინც დაგამტვრევთ ეჩვირ-პირს!







ტოტზე კუდით ჩამოკონწიალებულ მაიმუნს გამოელვოდა და გადმოსძახა: — შე სულელი ჟირაფო, ესენი ხომ მსოფლიოში სახელგანთქმული ციციქა გოგო და მისი მეგობრები არიან!

ჩვენი სპილო გოგიტა ზოოპარკში დაიბადა და პირველ კლასშიც იქ დადიოდა. აფრიკა აქამდე მხოლოდ ტე-

მეფე ბინგო-ბონგოს ტახტთან გადმოქარი ფეფიკო გამოჩნდა.

— ქვეყნის მპყრობელო, შენს ვრცელ სამეფოში ციციქა გოგო შემოიჭრა თავისი მეგობრებითურთ.

გაბრაზდა მეფე ბინგო-ბონგო. ხელი ხელს შემოჭრა, მხედართმთავრებს მოუხმო და უბრძანა, ახლავე ხელფეხგაკოჭილი ციციქა გოგო

თქვა ეს და ცუგაც უმაღლვე ჩააფრინდა ცხვირის წვერზე.

— ვაიმე, დედიკო! — დაიღრიალა დიდთავამ და სიმწირისაგან მუშტისტოლა ცრემლები გადმოჰყარა.

ციციქა გოგომ გაუქნია და ხმალი ესროლა. ხის ვერცხლისფერი ხმალი დიდთავას ხახაში გაეჩხირა და ზვიგენტო მეფემ პირი ველარ დამუწა. დინ-დან-დონი ელვის უსწრაფესად მივარდა და გვერდებში მუჯღუგუნები ჩააზილა. მეფე გაგვილახესო, იხუვლეს ზვიგენტო და უწესრიგოდ მიმოიფანტნენ. დელფინები უკან გამოუდგნენ და სულ კუდით ქვა ასროლინეს...

დიადმა გამარჯვებამ დიდად გაახარა მეგობრები. მაგრამ თურმე ბრძოლის დროს ზვიგენტებს გემის ფსკერი შეეფხრიწათ. სხვა რა გზა იყო, ვეშაპუნა უნდა გადასახლებულიყო აკვარიუმიდან ცივ ზღვაში, იგი ხომ გემდაც გამოდგებოდა. მანაც ფართო ზურგი შეუშვორა მეგობრებს და სწრაფად გასცურა აფრიკისაკენ, საითაც ჩადოქარი ფეფიკო მიიძალა.

### აჰ, აჰ, აფრიკა!

ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, აფრიკაც გამოჩნდა.

— აფ-აფ-რიკ-აფ! — მხიარულად აყეფდა ცუგა.

— აფრიკა, ვაშა! — წამოიძახა ციციქა გოგომ. სხვებმაც „ვაშა“ დასძახეს.

ყველაზე უწინ ჟირაფის თავს მოჰკრეს თვალი. ჟირაფმაც სხვებზე ადრე შეამჩნია მოგზაურები. თავდაპირველად მეკობრეები ეგონა და ისეთი ყვირილი ატეხა, მთელი აფრიკა შეჰყარა. ხმაურზე ბაობაბის

ლევინორში ენახა. ახლა მოჰკრა თვალი თუ არა, ცრემლები გადმოჰყარა და ყველას გული აუჩვილა.

ნაპირზე ჩამომწყრივდნენ სპილოები, ჟირაფები, ზებრები, მარტორქები, ქურციკები, ბეჭემოთები, ნიანგები და ათასი კიდევ სხვა უცნობნაცნობი ცხოველი. სპილოებმა ხორთუმები ასწიეს და ისე დაჰკრეს ბუკს, რომ ბინგო-ბონგოს ქვეყნის დედაქალაქ ბინგო-ბონგოში მეფე ბინგო-ბონგოს გამოელვოდა. ეს არც თუ ისე პატარა ამბავი იყო, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ: მეფე ბინგო-ბონგო მსუყე სადილის შემდეგ თორმეტ საათს მაინც იძინებდა და ამ დროს მის სამეფოში, თავი რომ თავვია, ისიც ვერ დაიწრუწუნებდა.

მეფე ბინგო-ბონგოს ვინაობა ბევრმა იქნებ არც იცოდეს. სიყმაწვილეში მას ყველა „გაქუცულ ტურიკელას“ ეძახდა, მერე ბებერი მეფე-ლომის კარისკაცი გახდა, რადგან პირმოთნობის ოსტატი იყო. მეფე-ლომის სიკვდილის შემდეგ ტურიკელამ პატრონს ტყავი გააძრო. თვითონ გადაიკვა და იმ დღიდან ყველას ლომი ეგონა. თუმცა სამეფოს მთელი არმია ლომებისაგან შედგებოდა, მხედართმთავრებდა სულ გაქუცული ტურები დააყენა. ბინგო-ბონგოს ძალიან ეშინოდა ლომების შეთქმულებისა და ლომებს აიძულებდა ბალახი ეძოვათ, თუმცა ამ ქვეყანაში იმდენი ხორცი იყო, თხებიც კუბატს მიირთმევდნენ.

ახლაც, გამოელვოდა თუ არა, მრისხანე მეფემ იფიქრა, ლომები მიწყობენ შეთქმულებასო და ოცდაათი დიდგვაროვანი ლომი გააშოლტინა. ეგზეუციას, ცხადია, ტურათმსაჯული მეთაურობდა. სწორედ ამ დროს

მომგვარეთ და ჩემი ტახტის ფერხით დააჩოქეთო.

შეფიქრიანდნენ მხედართმთავრები, იმათაც გაეგოთ ციციქა გოგოს ამბავი. მართალია, მეფე ბინგო-ბონგოს მსგავსად, ამათაც ლომის ტყავები ეცვათ, მაგრამ სინამდვილეში მხალხი ტურები იყვნენ. ბრძანებას მაინც ვერ გადავიდნენ და მთელი ჯარი ფეხზე დააყენეს.

ციციქა გოგო და მისი მეგობრები ნაპირზე გადმოსხდნენ. ზოოპარკის სპილომ თავისი ნათესავები იმდენი კოცნა, რომ ხორთუმი ნახევარი სანტიმეტრით დაუშოკლდა. კატა ციციკა მაიმუნს ხეზე გასვლაში გაეჯიბრა. ცუგა ბეჭემოს ლონეს უსინჯავდა, ჩემოდენა თუ შეგიძლიათ. ბატი ჟირაფს ემუშაიფებოდა: თქვენ ალბათ ჩემი ვვარისა ხართ, თუმცა ჩემი ყელო უფრო ყარყარააო. ცხრათავიანი დევი მეჩეჩხე იჭდა და ცხრა პირით ცხრა სხვადასხვა არსებას ცალ-ცალკე ესაუბრებოდა, რის გამოც ყურთსმენა აღარ იყო. ვეშაპუნა ნიანგებს ეკამათებოდა, თქვენს სიცხიან მხარეს ჩემი ანტარქტიდა მირჩევნიაო...

ციციქა გოგომ ზანგი ბიჭი ჯიმი გაიკნო.

— ცოტა ხნის წინათ აქ ერთი დედაბერი ამოცურდა, — უთხრა ჯიმმა.

— ხელში ცოცხი თუ ეჭირა, ჩადოქარი ფეფიკო იქნებოდა, — მიხვდა ციციქა გოგო.

მცირე თათბირის შემდეგ მეგობრებმა გზის გაგრძელება გადაწყვიტეს. მეგზურობა ჯიმმა იკიარა. როგორც ცნობილია, ვეშაპუნას ხმელეთზე სიარული უძიძიმს. მეგობრებმა მოჭრეს ბამბუკები, გააკეთეს უზარმაზარი საკაცე და ზედ ვეშაპუნა დააწვივნეს. საკაცის ერთი ბოლო სპილო გოგიტას ეჭირა, მეორე კი ცუგას... ასე შევიდნენ აფრიკის გუჯალ ჯუნგლებში...



ბევრი იარეს თუ ცოტა, ერთ ველზე გავიდნენ და რა ნახეს! მთელი მინდორი მბრღლენიანი ლომებითაა სავსე. შემალლებულზე ოქროს კარავი დგას. კარვის წინ სამეფო ტახტზე მეფე ბინგო-ბონგო წამოჭიმულა. ტახტს გვერდით ჯადოქარი ფეფიკო ამოსდგომია.

— ამდენი ლომის კბილს ვინ გადაურჩება? — შეწუხდა ზანგი ბიჭი ჯიმი.

— მოვიფიქრებთ რამეს, — ციციქნა გოგომ ხმალი შეათამაშა.

ორმოცდაათი ათასი ლომი ორმოცდაათი ტურის სარდლობით სამრად დაეწყო.

ციციქნა გოგომ გადაწყვიტა თვითონ ცენტრში შეეტია. მისი მთავარი თანაშემწის ცუგას მრისხანე ყეფა უძალგულოვანეს ლომსაც კი ზაფრას მოჰგვრიდა. ზოოპარკის სპილო თავის ნათესავებს სარდლობდა და მარჯვენა ფრთა დაიკავა. ცხრა-თავიანი დევი ცხრა სხვადასხვა ტყის ბინადართ მეთაურობდა და მისი პოლკები მარცხენა ფრთაზე განლაგდა.

აკვარიუმის ვეშაპუნა ხმელეთზე აბა რას გააწყობდა? მას ხომ საასპარეზოდ წყლის სივრცე სჭირდებოდა. თურმე ერთ ადგილას ბელურა დამჯდარა, მის ნათესურზე წვიმის წყალი ჩაგუბებულა. ვეშაპუნა იმ გუბეში ჩასვეს და ყარაულად მომღერალი ბატი მიუჩინეს.

კატა ციცას მტრის ჯარების დახვეწვა დაეკისრა. ხეზე აცოცდა და იქიდან გადმოხედა ბრძოლის ველს. უცებ ტახტზე ზვიადდ წამომჯდარი მეფე ბინგო-ბონგოს ფეხებს შორის ტურის გაქუცული კუდი შენიშნა.

— ერიპა! — კატა ციცას თავში თითქოს ნაპერწკალმა გაიელვა. იგი წინ გაიჭრა, ლომების არმიას წინ გადაუდგა და რიხით შესძახა:

— გამარჯობათ, ნათესავნო!  
— რომელი ჩვენი ნათესავი ხარ, მიწას ძლივს ატყვიხარ! — დაცინვით მიუგდო ერთმა ლომმა.

— სახელოვანი კატა ციცა გახლავარ! ჩვენ, კატები, უმამაცესნი ვართ ქვეყნიერების ზურგზე!

— უყურე ამ ბაქიას! — აღშფოთდნენ ლომები. — თუ ეგეთი ძლიერი ხარ, მოდი და შეგვებრძოლე!

— თქვენზე ხელს როგორ გავისვრი! — დონიჯი შემოიყარა კატა ციცამ. — თუ ვაჟაკია, თვით მეფე ბინგო-ბონგო გამობრძანდეს!

ამაყად გადმობრძანდა მეფე ბინგო-ბონგო, ჯარების წინ. მართლაც შესაზარი სანახავი იყო. კბილებდალრენილი ლომის ტყავი ოსტატურად გადაეცვა, ნამდვილი ლომისაგან ვერც გააჩვენდით.

გაიფხორა კატა ციცაც. ზურგი აიზნიქა. ბრჭყალები გამოაჩინა და



ისე შესჩხავლა, ბინგო-ბონგო წამით შეკრთა. დრო იხელთა კატა ციცამ, კამარა შეჭკრა, ბინგო-ბონგოს ზურგზე მოახტა და ლომის ტყავი გადაადრო. ლომის თავიდან წუწვი ტურის დრტუნჩი გამოჩნდა.

— ლომებო, აი, ვინ არის თქვენი მეფე!

ბინგო-ბონგომ კუდი აიწურა და წკავწკავით მოუსვა ბრძოლია ველიდან. ახლალა მიხვდნენ ლომები, თუ ვის ემორჩილებოდნენ! დაერივნენ თავიანთ ოფიცრებს, ლომის ტყავები დააძრეს და აკი საცოდავი ტურები შერჩათ ხელში! სირცხვილნაჭამმა ლომებმა ცემა-ტყეპით გაპყარეს თვალთმაქცები.

იმავე საღამოს კატა ციცას წინადადებით ქვეყნის მმართველად ზანგი ბიჭი ჯიმი აირჩიეს...

**ჯომოლუნგმა**

ჯადოქარი ფეფიკო სულ უფრო და უფრო შორს გარბოდა. ასე გაიარა მთელი აფრიკა, არაბეთი და ბოლოს ჰიმალაის მთებს მიაღდა. სხვა გზა არ ჰქონდა და აპყვა თვალშეუწვდენ აღმართს. ციციქნა გოგო და მისი მეგობრები ფეხდაფეხ მიჰყვნენ.

დაულალავად სდიეს სამი დღე და სამი ღამე. ბოლოს ჯადოქარი ფეფიკო ჯომოლუნგმას მაღალ მწვერვალზე აფოფხდა და, ცოტა დააკლდა, კინალამ ცის გუმბათს მიარტყა თავი: ჯომოლუნგმა ხომ დედამიწაზე ყველაზე მაღალი მწვერვალია.

მეგობრებმა მწვერვალს ალყა შემოარტყეს, ვეშაპუნა თავის მაკრატელა ბოლოს უბათქუნებდა ჯომოლუნგმას, აზანზარებდა, მაგრამ ჯადოქარი ფეფიკო ორივე ხელით ჩააფრინდა მწვერვალს და მისი გადმოვდება ვერ მოხერხდა. ზოოპარკის სპილო თოვლის გუნდას ესროდა, მაგრამ გუნდა უკანვე ეცემოდა თავზე. ცუგა, მომღერალი ბატი და კატა ციცა მხრებით მიაწვნენ მწვერვალს და მის წაქევეას ლამობდნენ. ცხრა-თავიანი დევის მეცხრე თავს ჯადოქარმა ფეფიკომ ლოდი მოარტყა და კოპიც დააჩნია. დევმა კოპზე შაურიანი დაიღო, მერე გაბრაზებულმა შურდულთით კენჭების სროლა დაიწყო, მაგრამ ძნელია მიხანში მორტყმა, როცა ამდენი თვალთ უმიზნებ!

ციციქნა გოგო კი ფრთხილად მიცოცავდა უფსკრულის თავზე. ჯადოქარი ფეფიკო ისე გაერთო, არც შეუნიშნავს ზურგიდან მოპარული მოწინააღმდეგე.

როცა შენიშნა, თვალში თოვლი მიაყარა, მაგრამ ციციქნა გოგო არ დაბნეულა, ხის ხმალი მიაბჯინა მეკრდზე.

— დამნებდი, ჯადოქარო!  
ფეფიკოს აბგა გაუვარდა და თოვ-



ლში უმწეოდ ჩაჯდა. აბგა გაიხსნა, იქიდან სპილო გოგიტას ანბანი ამოვარდა. ასოები ამოცვივდნენ, ჩიტებივით შეფრთხილდნენ. მაგრამ ციციქნა გოგომ მოასწრო, კულში ხელი სტაცა...

ერთმანეთზე გადააბეს ოცდაცამეტივე ასო. ანს დიდი ატომი შეება. სიამაყისაგან ისე იყო გავარვარებული, ძლივს აკავებდნენ. ბანზე მომღერალი ბატი ჩამოსკუპდა და „ვაახო!“

